# თავისუფალი საქართველო

№4 (64)

25 თებერვალი - 4 მარტი 1995 წ.

ინდექსი 66421

ფასი 700 რუბლის შესაბამისი კუპონი

გაზეთი რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ
სარეგისტრაციო მოწმობის № 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიის თალხი თებერვალი

## რედაქტორის სვეტი

სულხან-საბას მოწმობით, უწინ საქართველოში თებერვალი გლეხთა შორის განცხადებისთვედ იწოდებოდა. გაზაფხულის მოლოდინით აჭრილი ზამთრის უკანასკნელი თვე, ჩანს, ბევრს რასმე უცხადებდა მშრომელ კაცს და გამოღვიძებული ბუნების საიდუმლოსთან ერთად, იქნებ სიცოცხლის მარადიული გაზაფხულების მისტერიასაც აზიარებდა.

ჩვენ ეს უკვე აღარ ვიცით.

ჩვენი განცხადებისთვე შორსაა ნაოფლარი მიწის სიმყუდროვისგან, თუმცა კი მიწასავით შავია.

ჩვენი განცხადებისთვე - სისხლიანი თებერვალია 1921-სა, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბედს ჯერ უწვერული ბიჭები წყვეტდნენ კოჯრის მისადგომებთან.

ჩვენი თებერვალია - 1944-ის ცივი ღამე, როდესაც კავკასიის დაუმორჩილებელ სულს ვაგონებით მიერეკებოდნენ ყაზახეთის სტეპებისკენ.

ჩვენი თებერვალია - 1992-ის მღელვარე დღე, როდესაც დამპყრობლის ველური ინსტინქტი თამარის ხიდზე ულმობლად ხვრეტდა თხუთმეტი წლის მედროშეს.

ჩვენი თებერვალი - 1994-ის განცხადებისთვეა, როდესაც კავკასიის მიწა გულში იკრავდა თავის უდრეკ რაინდსა და ჭირისუფალს.

წლეულს კავკასიაში კვლავ სისხლიანი თებერვალია.

დამპყრობელი კვლავ ლამობს ჩვენს დამორჩილებას. ბომბავენ ქალაქებს, სოფლებს, კვლავ გასახლებას უპირებენ დაუმორჩილებელ ერებს. მტერი ცდილობს შიშით, შიმშილითა და სიცივით დაგვავიწყოს თავისუფლების გარდუვალობა. ურწმუნოთა სამსჯავრო კვლავ სასიკვდილო განაჩენს უმზადებს ვაჟკაცებს, რომელთა ერთადერთი დანაშაული სამშობლოს სიყვარულია.

და მაინც, თებერვლის ბნელ ღამეებში არ წყდება ცეცხლი დაპყრობილი ქალაქების ნანგრევებიდან. თორმეტი-თხუთმეტი წლის ბიჭები შიშის ზარს სცემენ მტერს. ჯალათების პირისპირ მდგარი ვაჟკაცები ამაყად ხვდებიან განსაცდელს და უკვე ამით იმარჯვებენ სიკვდილზე. სიდუხჭირეში გამოწრთობილი სული არ კარგავს განახლებისა და აღდგომის იმედს.

თებერვალი გაზაფხულის განცხადებისთვეა.

## მიმართვა ჩეჩენ და ინგუშ ხალხებს

ძვირფასო დებო და ძმებო!

ჩეჩენ, ინგუშ და ქართველ ხალხებს შორის ძმობას, მეგობრობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჩვენს წინაპრებს არაერთხელ შეუშველებიათ ხელი ერთმანეთისთვის გაჭირვების დროს. გასაჭირი კი ხშირად დაგვტეხია თავს. კავკასიას შემოსეული ყოველი მტერი პირველ რიგში კავკასიელ მკვიდრ ხალხთა გათიშვას და მათ ცალ-ცალკე განადგურებას ცდილობდა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ზოგჯერ ვერ ხერხდებოდა კავკასიელთა შეკავშირება და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკვრა, რითაც მოხერხებულად სარგებლობდნენ დამპყრობლები.

"გათიშე და იბატონე" პოლიტიკამ განსაკუთრებით გამოილო ნაყოფი კავკასიაში ცარიზმის დამკვიდრების შემდეგ. იმ დროის განმავლობაში, რაც კავკასიელი ხალხი ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, ყველაზე მეტი ტანჯვა-ვაების გადატანა სწორედ ჩეჩენ და ინგუშ ხალხებს მოუწია. ეს იმიტომ, რომ თქვენ არასოდეს შერიგებიხართ მტერს, ქედი არ მოგიხრიათ მის წინაშე. ვაჟა-ფშაველას სიტყვებითაც ხომ "კარგია მუდამ მტრიანი".

1864 წელს მუჰაჯირობის, სამშობლოს დაკარგვის მთელი სიმწარე ჩეჩნებთან და ინგუშებთან ერთად იწვნიეს კავკასიის სხვა ხალხებმაც: აფხაზებმა, ჩერქეზებმა, აბაზებმა, ყარაჩაელ-ბალყარებმა, დაღესტნის ხალხებმა, მაგრამ ისტორიის ბედუკუღმართობის გამოცდა, გენოციდის ახალი უბედურების გადატანა ისევ მოუხდა გმირ ჩეჩენ და ინგუშ ხალხებს უკვე "ჰუმანური" საბჭოთა ხელისუფლების წყალობით 1944 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა წითელი არმიის "ბრწყინვალე" დღეს, როცა ერთ დღე-ღამეში მთელი ხალხი დიდიან-პატარიანად ჩასხეს ვაგონებში და შორეული ყაზახეთის გზას გაუყენეს. უამრავი ადამიანი შეიწირა ამ აქციამ.

1944 წლის 23 თებერვალი სისხლიანი ასოებით ჩაიწერა მსოფლიო ისტორიაში, როგორც გენოციდის დღე. ჩეჩენი და ინგუში ხალხების ჭრილობა მოუშუშებელია, ხოლო მწუხარება უსაზღვრო და უკიდეგანო. ეს ისეთი ჭრილობაა ჩეჩენი და ინგუში ხალხების ისტორიაში, რომლის დავიწყება არ შეიძლება. ხოლო მწუხარება კი არ გაქრება, არამედ იქცევა იმ ძალად, რომელიც სათავეს ხალხის წიაღიდან იღებს და მასვე უბრუნდება, როგორც განახლების წყარო, ერის სულიერი აღორძინების ნიშანსვეტი.

ძვირფასო დებო და ძმებო! მიიღეთ ქართველი ხალხის, საქართველოს რესპუბლიკის



უზენაესი საბჭოს და პირადად ჩემი ღრმა სამძიმარი 1944 წლის 23 თებერვლის აქციის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად.

**ზვიად გამსახურდია,**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 35, 21.02.1991)

## HUMAN RIGHTS WATCH / HELSINKI

# სასწრაფო გავრცელებისთვის

## შევარდნაძე გაერო-ში:
### ადამიანის უფლებების პრობლემა

(ნიუ-იორკი) 26 სექტემბერი. 1994 წ. - ბრალდებები ედუარდ შევარდნაძის მისამართით, რომ იგი თვალს ხუჭავს იმ წამებებზე, რომელსაც მისი საკუთარი მთავრობა მიმართავს, ჩრდილს აყენებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს იმ დროს, როდესაც მომავალ კვირას იგი უნდა გამოვიდეს გაერო-ს ტრიბუნიდან, - ამტკიცებს "ჰიუმან რაითს ვოტჩ/ჰელსინკი". დღეს გაგზავნილ წერილში ამ ორგანიზაციამ მოსთხოვა ბ-ნ შევარდნაძეს დაგმოს და ბოლო მოუღოს უხეშ დარღვევებს.

"დარღვევათა შორისაა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილთა სასტიკი ცემა და წამება, მათი ოჯახის წევრთა შევიწროვება, ნათესავების თვითნებური დაპატიმრება და ცემა, უარის თქმა ბრალდებულებისთვის ადვოკატის მომსახურეობაზე იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათ სასიკვდილო განაჩენი ემუქრება - ნათქვამია "ჰიუმან რაითს ვოტჩ/ჰელსინკი"-ს წერილში. - ძალადობისა და შევიწროვების ასეთი აქტები მიმართულია ძირითადად, თუმცა არა მხოლოდ, პოლიტიკურ ოპოზიციასთან დაკავშირებული პირების მიმართ." "ჰიუმან რაითს ვოტჩ/-ჰელსინკი"-ს ეს დასკვნა დამყარებულია რესპუბლიკაში, მათ შორის ციხის სისტემის სფეროში ჩატარებულ მასშტაბურ გამოკვლევაზე.

1991 წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველო განიცდის ქაოსის პერიოდს, რაც აფერხებს ადამიანის უფლებების დაცვის შესაძლებლობას. იგი აწარმოებდა ომს - მეტწილად წარუმატებლად - ორი ტერიტორიული ავტონომიის წინააღმდეგ: სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში; აგრეთვე გადაიტანა სამოქალაქო ომი ხელისუფლებისთვის, რომელშიც საბოლოო ჯამში გაიმარჯვა ედუარდ შევარდნაძემ მას შემდეგ, რაც 1992 წ. სისხლიანი შეტაკებების შედეგად დამხობილ იქნა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა ერთ-ერთი ყველაზე სავალალოა სსრკ-ს სხვა ყოფილ რესპუბლიკებთან შედარებით. ამის შედეგად წარმოქმნილი ფართო უკმაყოფილება განსაკუთრებით მგრძნობიარეს ხდის მთავრობას ოპოზიციის მხრიდან გამომდინარე კრიტიკის მიმართ. ოპოზიციისა, რომელმაც უკანასკნელი თვეების მანძილზე რამდენჯერმე გამოიყვანა ქუჩაში ხალხი ბ-ნ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით. ამ დროიდან მოყოლებული, შევარდნაძის ადმინისტრაცია მიმართავს აქტიურ მოქმედებებს ოპოზიციის წინააღმდეგ - კრძალავს გაზეთებს, აწყობს ჟურნალისტების დარბევას და გამზადებული ბრალდებებით ციხეში ყრის ოპოზიციის წარმომადგენლებს.

"ე. შევარდნაძის მთავრობა დამნაშავეა იმავე დანაშაულებათა ჩადენაში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია მისი წინამორბედი გამსახურდიას დამხობა", - განაცხადა ჯერი ლეიბერმა, "ჰიუმან რაითს ვოტჩ/ჰელსინკი"-ს აღმასრულებელმა დირექტორმა. - "მაგრამ დასავლეთი, როგორც წესი, შევარდნაძეს განიხილავს დემოკრატიულად განწყობილ რეფორმატორად, როგორც ეს გორბაჩოვის დროს იყო. როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ლიდერმა, მან უნდა დაამტკიცოს თავისი მიდრეკილება ადამიანის უფლებათა დაცვისადმი და ბოლო უნდა მოუღოს იმ დარღვევებს, რომელთაც თავისი მდუმარე დასტურით დასაშვებს ხდის ან სჩადის მისი მთავრობა."

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას ერჩის ა.კავსაძე "თავისუფალ საქართველოს"?!

როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან შევიტყვეთ, ჩვენი გაზეთის მოულოდნელმა შემოტევამ მწვავე რეაქცია გამოიწვია, კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი ა. კავსაძე.

ცხადია, არასერიოზული მოველოდით ილუზიას, რომ ამჟამინდელი სახელმწიფო სტრუქტურები ჩვენი გაზეთის არსებობას დაინახავდნენ. ... რომ ჩვენი გაზეთის N3-ში გამოქვეყნებულ სტატიას "ტერორი საქართველოში", რომელიც საუბარია პოლიტიკურ კონტექსტებს განხილვას მიზნად ისახავდა, ასეთ რეაქციას გამოიწვევდა.

ა. კავსაძე მიიჩნევს, რომ ჩვენ ეს პატივსაცემი მოღვაწეები, საუბარია გ. ჭანტურიაზე, ... დამნაშავეებად გამოვიყვანეთ. ... ამიტომ ... გავიხსენოთ სტატიის ერთი აბზაცი:

"...ზ. ვეფხვაძისა და გ. სვანაძის მკვლელობის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამ გვამცნო, რომ ზემოთ ხსენებულ პიროვნებებთან ერთად მოკლულ იქნა სრულიად . უდანაშაულო ადამიანი. აქედან გამომდინარე, მათვე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ვეფხვაძისა და სვანაძის უდანაშაულობა; სულ ახლახანს კი, გ. ჭანტურიას მკვლელობის შემდგომ, სახლმწიფოს მეთაურმა გენერალ-ლეიტენანტობა მიანიჭა სახელმწიფო უშიშროების უფროსს იგორ გიორგაძეს - სახელმწიფო მოხელეს, რომელსაც უშუალოდ ევალება ტერაქტების ალკვეთა, ამ დროს იგი, სულ მცირე, საყვედურს უნდა იმსახურებდეს."

გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ გარემოებას პარლამენტის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ სხდომაზე საგანგებოდ გაუსვა ხაზი თავად გ. ჭანტურიას ქვრივმა და გიორგაძესთან ერთად ამ მკვლელობისთვის პასუხისმგებლობა მთელ რიგ უმაღლესი თანამდებობის პირებს დააკისრა.

ამდენად, ჩვენ ამ კონკრეტულ პუბლიკაციაში მხოლოდ საყოველთაოდ გამოთქმული მოსაზრებებისა და ცნობილი ფაქტების კონსტატაციას ვახდენთ და გვიკვირს კიდეც, რა შეიტყო ახალი ჩვენი პუბლიკაციიდან ა. კავსაძემ.

გასაოცარია ისიც, რომ ხსენებული კომიტეტის ასეთივე მძაფრი რეაქცია არ გამოუწვევია თავად ამ საზარელ მკვლელობებს, რომელიც თავისი ხასიათით უგულებელყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა ერთ-ერთ ძირეულ პრინციპს - სიცოცხლის უფლებას.

არ შეშფოთებულა კომიტეტი და პირადად ა. კავსაძე არც იმის გამო, რომ სამი წლის განმავლობაში არ გამოვლენილა ამ ტერაქტების მომწყობი არც ერთი დამნაშავე; მეტიც, არ გამოძიებულა მათ საფუძველზე აღძრული არც ერთი სისხლის სამართლის საქმე, რაც ასევე საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. ა. კავსაძე კი, მაგიერ იმისა მოუწოდოს პროკურატურას დააჩქაროს გამოძიება და მკვლელების დასჯა, ჩვენი გაზეთის მიმართ კამპანიას იწყებს, თანაც იმ პუბლიკაციის საბაბით, რომელშიც დაგმობილია სისხლიანი ანგარიშსწორების პრაქტიკა.

მაშ რა უნდა ვიფიქროთ? ან მკვლელებს შეგნებულად აფარებენ ხელს სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის კავსაძის კომიტეტიც, რომელიც პოლიტიკურ ოპონენტთა უფლებებზე რომ არაფერი ვთქვათ, იმ პიროვნებების სიცოცხლის უფლებასაც არ იცავს, რომელთაც თავად მიიჩნევს ერის ღირსეულ შვილებად; ან, როგორც ჩანს, შესაბამისი ორგანოები ზედმეტად იყვნენ დაკავებულნი "პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და სხვათა მიმართ" აღძრული ს/ს საქმის შეთხზვით, თუმცა, როგორც სამსჯავრო გამოძიებამ გვიჩვენა, ვერც ამ ამოცანას გაართვეს თავი და საზოგადოებისთვის დამაჯერებელი ვერ გახადეს მათ მიერ დამუშავებული ვერსია.

სწორედ ეს გამოჩნდა მთელი სიცხადით ჩვენი გაზეთის ხსენებულ ნომერში, რომელიც თითქმის მთლიანად მიეძღვნა ამ გახმაურებულ სასამართლო პროცესსა და მასზე გამოვლენილ კანონდარღვევებს. ჩვენი აზრით, ალექსანდრე კავსაძის აღშფოთების ნამდვილი მიზეზია არა ზემოხსენებული სტატია, არამედ უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესისა და მასზე საერთაშორისო საზოგადოებრიობის რეაქციის ამსახველი პუბლიკაციები. და აღშფოთების წყაროც ე.წ. კავსაძის კომიტეტზე უფრო მაღლა უნდა ვეძიოთ.

ახლა, რაც შეეხება მთავარ საკითხს (რომელზეც ამ პუბლიკაციაში არ ყოფილა საუბარი, მაგრამ რომელიც, როგორც ჩანს, მიზეზთა გამო აღელვებს ბატონ კავსაძეს) - არიან თუ არა გიორგი ჭანტურია და ტერორისტული აქტების სხვა მსხვერპლნი დამნაშავენი ერისა და ქვეყნის წინაშე - ცალსახად უნდა განვაცხადოთ, რომ დიახაც, არიან. ისინი დამნაშავენი არიან როგორც ორგანიზატორნი, თანამონაწილენი ან შემსრულებელნი 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა, რომელსაც საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა - ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა, სახელმწიფოს რღვევა, მოსახლეობის მასობრივი სიდუხჭირე, მეურნეობის ყველა სფეროს მოშლა, სახელმწიფო სიმდიდრის გაფლანგვა, ეროვნული ენერგიის დაქვეითება.

ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ამგვარ ქმედებას უმძიმესი დანაშაულის კვალიფიკაცია ეძლევა. სხვა საქმეა, რომ გ. ჭანტურია და ტერაქტების სხვა მსხვერპლნი ამ დანაშაულისთვის არ დასჯილან. მათ მკვლელობას სხვა მოტივი უდევს საფუძვლად, რომლის შესახებ მათ უკეთ უწყიან, ვინც დაგეგმა ეს მკვლელობაან დაჯილდოვდა მისი შესრულებისთვის.

დაბოლოს, მივესალმებით ნაცნობობას პატივცემული ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. კავსაძესთან, რამეთუ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენი გაზეთის აკრძალვისა და მის თანამშრომელთა რეპრესირების ფაქტთან დაკავშირებით პროტესტს აცხადებდა თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, ბატონი კავსაძე დუმდა. გვეგონა, მან არც კი იცოდა ჩვენი არსებობის შესახებ და სასიხარულოა, რომ ბოლოს და ბოლოს გაირღვა ჩვენს შორის აღმართული არშემჩნევის კედელი.

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ჩვენი პუბლიკაციის, მასზე ა. კავსაძის კომიტეტის რეაქციისა და ჩვენი პასუხის ინგლისურენოვანი თარგმანი ეგზავნებათ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

გაზეთ
"თავისუფალი საქართველოს"
რედაქცია

# ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის ვიზიტი საქართველოში

11-15 თებერვალს თბილისში ვიზიტით იმყოფებოდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის წევრები - ქ-ნი სილია პალმერი და დოქტორი ოლივერ რუუკი. მათი თბილისში სტუმრობის მიზანი იყო "პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმესთან" დაკავშირებული სასამართლო პროცესის მსვლელობისას იურიდიულ დარღვევათა გარემოებების შესწავლა. ვიზიტის დროს ბრიტანელი სამართალდამცველები შეხვდნენ და ესაუბრნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მ. უგრეხელიძეს, გენერალურ პროკურორს ჯ. ბაბილაშვილს, მის მოადგილეს ა. ბალუაშვილს, პროკურორ კ. კობერიძეს, შსს საპატიმროს უფროსს გ. ყვარელაშვილს და ამავე საპატიმროს სამედიცინო სამსახურის უფროსს ჯ. ქარუმიძეს, ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ა. კავსაძეს მეუღლითურთ, პატიმართა ადვოკატებს, საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ყოფილ უფროსს ი. ბათიაშვილს, პარლამენტის დეპუტატებს ნ. ნათაძესა და თ. დიხამინჯიას, საერთაშორისო წითელი ჯვრისა და აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებს.

როგორც დოქტორმა რუუკმა განაცხადა, ანგარიშს თავიანთი ვიზიტისა და აქედან გაკეთებული დასკვნების შესახებ ისინი უახლოეს მომავალში აცნობებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

# სოსო ჟღენტი მოითხოვს ბრალდების წაყენებას

სოსო ჟღენტმა - კანონიერი ეროვნული გვარდიის გურია-იმერეთის პოლკის მეთაურმა, რომელიც დაპატიმრებულ იქნა ამა წლის 10 იანვარს და ... იმყოფება სუს-ის იზოლატორში, 14 თებერვლიდან გამოაცხადა უვადო მშრალი შიმშილობა. იზოლატორის ადმინისტრაციამ ეს აქცია 15 თებერვლის თარიღით გააფორმა. შევარდნაძის ხელისუფლების მიერ ერთხელ უკვე შემორიგებული ს. ჟღენტი სათანადო უწყებებისგან მოითხოვს მის მიმართ ბრალდების წაყენებას და აგრეთვე შეხვედრას მთელ რიგ პირებთან, კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმ. ა. კავსაძესთან, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის საპარლამენტო კომისიის თავმ. ვ. ადამიასთან, გაზეთების - "საქართველოს რესპუბლიკა" და "იბერია-სპექტრის" წარმომადგენლებთან, გენ. პროკურორ ჯ. ბაბილაშვილთან და, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, მისი საქმის გამომძიებელთან.

როგორც შევიტყვეთ, მოშიმშილე პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ს.ჟღენტი დაავადებულია ჰიპერტონიითა და ასთმით.

# ჩ ე ჩ ნ ე თ ი

## ქრონიკა

### 8 თებერვალი

ჩეჩნეთის ინფორმაციის მინისტრმა მოვლადი უდუგოვმა "თავისუფლების" კორესპონდენტთან სატელეფონო საუბრისას აღნიშნა, რომ 7 თებერვალს, გროზნოში, ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი შტაბის სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი, გადაწყდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და მთავარი შტაბის გადაყვანა გროზნოდან ქალაქგარეთ. მოხსენებით გამოვიდა მთავარი შტაბის უფროსი, გენერალი ასლან მასხადოვი. მან განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. იწყება მეორე, უაღრესად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ეტაპი.

ბ-ნ უდუგოვის შემდეგ კორესპონდენტს ესაუბრა იქვე მყოფი ბ-ნი ჯოჰარ დუდაევი. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გამოცემულია მისი ბრძანება რუსეთის წინააღმდეგ ომში ფართომასშტაბიანი შემტევი ოპერაციის დაწყების შესახებ, რომ ამ მეორე მნიშვნელოვანი ეტაპის წარმატებით განხორციელებისთვის ჩეჩნეთის მთელს ტერიტორიაზე, მთებში მომზადებულია ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ათობით შტაბი, ბ-ნმა დუდაევმა აღნიშნა, რომ იწყება საგაზაფხულო-საზაფხულო ეტაპი ომისა, რომელიც უახლოეს ხანებში გადაინაცვლებს კავკასიის სხვა რეგიონებსა და უშუალოდ რუსეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე.

რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა შეტევას ქ.არღუნზე. 8 თებერვლის ამ შეტევის შედეგად მწყობრიდან იქნა გამოყვანილი რუსეთის არმიის 8 ტანკი.

### 9 თებერვალი

აშშ-ის პრეზიდენტის ბილ ქლინტონისა და გერმანიის კანცლერის ჰელმუტ კოლის ვაშინგტონში შეხვედრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო ჩეჩნეთის ამბები და რუსეთისადმი დასავლეთის დამოკიდებულება. მათ დაგმეს რუსეთის არმიის მოქმედება ჩეჩნეთში და ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები, თუმცა, იქვე აღნიშნეს, რომ დასავლეთი და აშშ ელცინის პოლიტიკას მხარს დაუჭერენ მანამ, სანამ რუსეთის ხელისუფლება ერთგული იქნება რეფორმების პოლიტიკისა და ადამიანის უფლებების დაცვისა.

### 10 თებერვალი

ბ-ნმა ს.კოვალიოვმა ჟენევაში, "გაერო"-სთან რუსეთის წარმომადგენლობის შტაბ-ბინაში გამართა პრესკონფერენცია, სადაც მრავლად იქნა წარმოჩენილი რუსეთის ხელისუფლებისა და სამხედრო უწყების ჩეჩნეთში მოქმედების მამხილებელი მასალები. ამასთან, ბ-ნმა კოვალიოვმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა "გაერო"-ს ადამიანის უფლებათა კომისიას, რომელიც, როგორც ოფიციალური რეზოლუცია, დაურიგდათ "გაერო"-ს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებს. მეტად მნიშვნელოვანია ბ-ნ კოვალიოვის პრინციპული მითითება იმის თაობაზე, რომ ერთადერთი პიროვნება ჩეჩნეთის მხრიდან, რომელთანაც უნდა წარიმართოს მოლაპარაკება, არის პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი, ვითარცა ჩეჩნეთის რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფალი.

### 11 თებერვალი

ჩეჩნეთის ინფორმაციის მინისტრის ბ-ნ მოვლადი უდუგოვის ცნობით, ქ.არღუნთან და დაბა ალტისთან მიმდინარე ბრძოლებისას ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობამ გაანადგურა რუსეთის არმიის 7 ტანკი და რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი, ჩამოაგდო 2 თვითმფრინავი და 1 ვერტმფრენი. რუსეთის ავიაცია განაგრძობდა დასახლებული პუნქტების: ქ. არღუნის, გრზნოს მისადგომების, სოფლების ალხან-იურთისა და ალხანკალას დაბომბვას.

### 12 თებერვალი

დაბა ალხანკალასთან, ჩეჩნების მიერ დანაღმულ ტერიტორიაზე გადასვლისას დაიღუპა რამდენიმე ათეული რუსი ჯარისკაცი, მწყობრიდან გამოვიდა ათამდე ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი.

ნალჩიკში გაიმართა ჩეჩნეთის კანონიერი ხელისუფლებისა და ჩეჩენი ხალხის მხარდამჭერი ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც დაარბია ადგილობრივმა "ომონ"-მა.

### 13 თებერვალი

ბრძოლები წარმოებდა გროზნოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. რუსეთის ავიაციის მიერ კვლავ იბომბებოდა ქ. არღუნი. ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩეჩნეთის მთავარი შტაბის უფროსი, გენერალი ასლან მასხადოვი ინგუშეთში, ინგუშეთის ვიცე-პრეზიდენტის ბორის აგაპოვის შუამავლობით, ცეცხლის დროებით შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს ჩეჩნეთში განლაგებული რუსული შენაერთების სარდალთან, გენერალ-პოლკოვნიკ კულიკოვთან.

ადამიანის უფლებათა აქტივისტები და კორესპონდენტები შეხვდნენ ჩრდილოეთ ოსეთის ქ. მოზდოკში რუსების მიერ მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკში წამებაგამოვლილ ჩეჩენ ტყვეებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ტყვეთა მიმართ რუსების მიერ გამოიყენება წამების საშინელი, არაადამიანური მეთოდები.

ესტონეთის პარლამენტმა მოუწოდა ესტონეთის მთავრობას და დასავლეთის სახელმწიფოთა პარლამენტებს, ხელსაყრელი საერთაშორისო სიტუაციის შექმნისთანავე ცნონ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია. ამას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მისცა "რუსეთის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის" კვალიფიკაცია.

### 14 თებერვალი

მიუხედავად გენერლებს მასხადოვსა და კულიკოვს შორის მიმდინარე მოლაპარაკებისა, გრძელდება რუსეთის მძიმე არტილერიის მიერ დასახლებული პუნქტების დაბომბვა.

შედგა "ჯარისკაცთა დედების კომიტეტის" წარმომადგენელთა პრესკონფერენცია. დოკუმენტური წყაროების საფუძველზე ხაზი გაესვა რუსეთის შენაერთების ბარბაროსულ მოქმედებას ჩეჩნეთში, ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებს. ჯარისკაცთა დედებმა კატეგორიულად მოითხოვეს გენერალ გრაჩოვისა და მის დამქაშთა გადადგომა.

დიდი ბრიტანეთი და შვედეთი კოზირევისგან დაჟინებით მოითხოვენ ახსნა-განმარტებას ჩეჩნეთში რუსეთის ჯარის მოქმედების გამო, რაზეც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჯერ-ჯერობით, უარს აცხადებს.

### 15 თებერვალი

მიუხედავად ინგუშეთში მიმდინარე მოლაპარაკებისა, კლავაკ გრძელდებოდა რუსეთის მძიმე არტილერიის მიერ ქ. არღუნის და გროზნოს ახლოს მდებარე პუნქტების დაბომბვა.

ჩეჩნეთიდან მოსკოვს დაბრუნებულმა ცნობილმა სამართალდამცავმა ბ-ნმა ანდრეი მირონოვმა დაადასტურა, რომ დაბომბვების ობიექტი უმთავრესად დასახლებული პუნქტები და ის რეგიონებია, სადაც თავს იყრიან ლტოლვილები. მანვე მიუთითა, რომ რუსების მიერ თითქმის ყოველთვის გამოიყენება საერთაშორისო კონვენციის ძალით აკრძალული ე.წ. ბურთულოვანი ჭურვები.

აშშ-ის კონგრესმენთა და სენატორთა 60-კაციანმა ჯგუფმა წერილობითი განცხადებით მიმართა პრეზიდენტ ქლინტონს. განცხადების ავტორები გადაჭრით მოითხოვენ პრეზიდენტისგან, რომ ამ უკანასკნელმა ჩეჩნეთში რუსეთის მოქმედებებიდან გამომდინარე, უარი განაცხადოს ბ. ელცინთან მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრაზე.

### 16 თებერვალი

ევროპარლამენტმა პროტესტი გამოთქვა რუსეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილების გამო უარი უთხრან ევროპარლამენტის დეპუტატთა ჯგუფს ჩეჩნეთში ჩასვლაზე. ევროპარლამენტმა განაცხადა, რომ, ვინაიდან ჩეჩნეთში ადგილი აქვს ბრძოლას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებათა უხეშ მასობრივ დარღვევებს, ეს ვერასგზით ვერ ჩაითვლება რუსეთის საშინაო საქმედ.

ევროპარლამენტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დოქტორმა ოტო ფონ ჰაბსბურგმა რუსეთის ხელისუფალთ ბრალად დასდო დემოკრატიისთვის ზურგის შექცევა, დემოკრატიის ჩანასახის განადგურება რუსეთში.

ევროპარლამენტის პრეზიდენტმა ჰენშმა კი განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლების ეს უარი წარმოადგენს ევროპარლამენტსა და რუსეთს შორის ურთიერთობებზე უდიდეს დარტყმას.

ფრანსპრესისა და რეიტერის კორესპონდენტები მიუთითებენ, რომ მიუხედავად ჩეჩნეთის და რუსეთის სარდლობებს შორის მოლაპარაკებისა, გრძელდებოდა რუსეთის არმიის მძიმე არტილერიის მიერ ქ.გუდერმესის დაბომბვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორასწლიანი ომი დამოუკიდებლობისთვის

## ჩეჩნეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა იჩქერიას ძვირფასო თანამოქალაქენო!

50 წლის წინ, 23 თებერვლის შავ დილას, ბოლშევიკური დიქტატურის სულისკვეთებით გაჟღენთილმა, ნიღაბს ამოფარებულმა რუსულმა იმპერიამ მორიგი სისხლიანი დარტყმა მიაყენა ჩეჩენ და ინგუშ ხალხებს. განხორციელდა თავისი ვერაგობით განსაცვიფრებელი აქტი - ასობით ათასი ქალი, ბავშვი და მოხუცი განწირულ იქნა ფიზიკური განადგურებისთვის.

ამ სისასტიკემ ბოლშევიკურმა სახელმწიფომ შეიწირა მოსახლეობის 2/3, ერის საუკეთესო წარმომადგენლები. მასობრივი გენოციდის ორგანიზატორთა გეგმით, ჩეჩენი ხალხი სამუდამოდ უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა.

მაგრამ მსოფლიომ იხილა, რომ ჩეჩენი ხალხის სულის, დიდი ჰეგელის სიტყვებით დარად - ბუნების ძალებთან მებრძოლი სულის, გატეხვა შეუძლებელია.

უზენაესის წყალობით და ჩეჩენი ხალხის გაუტეხელი ნების მეოხებით, ჩვენ დავუბრუნდით მამაპაპისეულ მიწა-წყალს. მაგრამ დაბრუნების შემდეგაც არ შეწყვეტილა ჩვენი დევნა, ფიზიკური გენოციდი სულიერით შეცვალეს.

ერს წაერთვა ყოველივე ეროვნული, ჩვენში დაჟინებით ნერგავდნენ აზრს, რომ გენოციდი და დეპორტაცია იყო სასჯელი იმისთვის, რომ ჩვენ არ ვეგუებოდით საბჭოთა ხელისუფლებას. შემდეგ ჩვენ შეგვაჩვიეს გლოვას, მუდმივ მწუხარებაში ცხოვრებას; გვაჩვევდნენ აზრს, რომ ჩეჩნებზე ნებისმიერ დროს ძალუძთ დანაშაულებრივი ექსპერიმენტის გამეორება. თავს მოგვახვიეს სამგლოვიარო დღეები და ღონისძიებანი, რითაც შიშსა და მორჩილებას გვინერგავდნენ.

ამიტომ დღეს მთელი მსოფლიოს გასაგონად ვაცხადებთ, რომ სრულად ვიცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას ისტორიის წინაშე და ვადასტურებთ დასკვნას დიდი ჰეგელისა, რომ მსოფლიო ისტორიის პროგრესი დასაბამს იღებს კავკასიური რასის წიაღში. ჩვენ ამ გზით ვივლით.

ამ დღეს - 1994 წლის 23 თებერვალს, ვწყვეტთ გლოვას წარსულის გამო და გეზს ვიღებთ ეროვნული აღორძინებისკენ.

ისტორიამ საუკეთესო გაკვეთილები მოგვცა საიმისოდ, რომ აღარ დავუშვათ მორიგი გლოვა ჩვენს წმინდა მიწა-წყალზე. რა გამოცდაც არ უნდა მოგვიწყოს ბედისწერამ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ ამ კეთილშობილური მიზნისთვის.

წარსულის გაკვეთილებმა დაგვანახა რკინისებური სიმყარით აღბეჭდილი ჭეშმარიტება - სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი. ჩვენ თავისუფალი ერი ვართ და არავის მივცემთ უფლებას, სამშობლო სამუდამო გლოვის ქვეყნად გვიქციოს.

ამიერიდან 23 თებერვალი ყოველი ჩვენგანისთვის იქნება დღე ჩეჩენი ერის აღორძინებისა, კავკასიური რასის სულის აღორძინებისა, სწრაფვისა სამშობლოს დიადი მომავლისკენ, მისი აყვავებისა და ძლიერებისკენ. 23 თებერვალი იქნება დღე ერის ქედუხრელი ნების და რწმენის აღორძინებისა.

უზენაესმა დალოცოს ჩვენი გზა!

ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას პრეზიდენტი

ჯოჰარ დუდაევი

*23 თებერვალი, 1994. გროზნო*

## 17 თებერვალი

რუსები უაღრესად არაკორექტულად და სახიფათოდ მოქმედებენ ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზე. ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ მათი მოქმედება მნიშვნელოვან მღელვარებას იწვევს დაღესტნის მოსახლეობაში, რომელსაც ისტორიულად უმჭიდროესი ურთიერთობა აკავშირებს ვაინახებთან. რუსები დაღესტანში გადასვლის უფლებას არ აძლევენ მამაკაც ლტოლვილებს. უკვე გამოიკვეთა პირველი ნიშნები იმისა, რომ ამ ნიადაგზე სახალხო, ანტირუსული მღელვარება დაიწყება დაღესტანში.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ხორნმა რუსეთის პრემიერ-მინისტრს ჩერნომირდინს მოსთხოვა საომარი მოქმედებების შეწყვეტა ჩეჩნეთში და მშვიდობიანი პოლიტიკური მოლაპარაკება. მიუხედავად დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერებისა და აშშ-ის საკანონმდებლო ხელისუფლების მოთხოვნისა, ბ.ელცინი კვლავ უარს აცხადებს ჯოჰარ დუდაევთან შეხვედრაზე.

## 18-20 თებერვალი

პოლონეთში ჩერნომირდინის ვიზიტის დროს ვარშავასა და კრაკოვში ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მხარდამჭერი და რუსეთის იმპერიული პოლიტიკის საწინააღმდეგო აქციები ჩაატარეს პოლონეთის ანარქისტულმა მოძრაობამ და ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა, კრაკოვის კომიტეტმა "დამოუკიდებელი ჩეჩნეთი", ჩეჩნეთის საინფორმაციო სააგენტო "ჩეჩენპრეს"-ის კრაკოვის ცენტრმა და პოლონეთ - ჩეჩნეთის საზოგადოებამ.

რუსეთის საელჩომ კრაკოვის მერიისგან მოითხოვა "ჩეჩენპრეს"-ის წარმომადგენლობის (ცენტრის) გაუქმება, ვინაიდან, საელჩოს განცხადებით, ცენტრი ეწევა "ღია ანტირუსულ პროპაგანდას". კრაკოვის მერიამ უარი განაცხადა ჩეჩნეთის საინფორმაციო ცენტრის ოფიციალური რეგისტრაციის გაუქმებაზე.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ-ნმა ჯოჰარ დუდაევმა გროზნოს მახლობლად, სადაც ამჟამად არის განლაგებული ჩეჩნეთის ხელისუფლება და წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი შტაბი, ვრცელი ინტერვიუ მისცა გაზეთ "ლოსანჯელეს თაიმს"-ის მოსკოველ კორესპონდენტს, რომელშიც, სამომავლო გეგმებზე საუბრისას, პრეზიდენტმა ხაზგასმით მიუთითა, რომ ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობას გააჩნია რუსეთზე ზემოქმედების გაცილებით მძლავრი იარაღი იმასთან შედარებით, რომელიც ამჟამად გამოიყენება და რომ გაზაფხულის დადგომისთანავე დაიწყება მეორე ეტაპის ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები როგორც ჩეჩნეთის, ისე რუსეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე.

19-20 თებერვლის ღამით და გამთენიისას განახლდა გროზნოს ჩრდილოეთ ნაწილსა (რომელსაც აკონტროლებენ ჩეჩნები) და ქ.გუდერმესის მასირებული დაბომბვები. გენერალმა კულიკოვმა განაცხადა, რომ რუსეთის სარდლობა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებას არ განაახლებს.

*უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით პუბლიკაცია მოამზადა*

*ლევან ურუშაძემ*

# ჟურნალისტის ჩანაწერები

ინგუშეთის სოფელ ტოლსოი-იურტიდან გროზნოსკენ მივდივართ. გზადაგზა გვხვდება შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფები. ისინი მოხალისეები არიან და თავიანთ სოფლებს იცავენ რუსებისგან. მძიმე ტექნიკა არსად ჩანს. მოყინულ და ტანკებისგან დანგრეული გზით, სამი საათის მგზავრობის შემდეგ, გროზნოში შევედით.

მუდამ ხალხმრავალ გროზნოს ქუჩების სიცარიელე გვეუცხოვა. ქალები და ბავშვები უკვე გახიზნულნი არიან ქალაქიდან. სიკვდილით, ელდითა და ნანგრევებით სავსე ქუჩებში მხოლოდ მამაკაცთა მოღუშული, შეწუხებული და მკაცრი სახეები გვხვდება.

ქალაქის ცენტრი მოფენილია დამწვარი და განადგურებული საბრძოლო ტექნიკით. შეიხ მანსურის მოედანზე, პრეზიდენტის სასახლის სიახლოვეს ჩეჩნებმა მოაწყვეს ამ ტექნიკის გამოფენა: ტანკის ლულები, დაგლეჯილი მუხლუხოები, აფეთქებული საბრძოლო მანქანების ნაწილები უწესრიგოდაა მიხონხლილი კვარცხლბეკთან, რომელზეც ადრე პროლეტარიატის ბელადი იდგა. "ეს ჩვენი საჩუქარია ილიჩისთვის მორთმეული" - ხუმრობენ ჩეჩნები.

ჩასვლისთანავე მივედით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას რეზიდენციაში. ალაყაფის კარი ნაცნობმა ჩეჩენმა - რეზიდენციის მცველმა გაგვიღო. შესვლისთანავე თვალში მოგვხვდა შენობის ჩალეწილი ფანჯრები. სახლს ყუმბარმტყორცნის ჭურვიც ჰქონდა მოხვედრილი, რომელიც საბედნიეროდ არ აფეთქებულიყო. ეზოში იდგა დაცხრილული მანქანები. "საფლავისთვის ხელი არავის უხლია" - გვითხრა ერთ-ერთმა მცველმა. შიგნით კი, შენობაში ყველაფერი გააპარტახეს". შევედით სახლში, ოთახები გილზებითაა მოფენილი. შპალერი ჩამოხეულია, ტელევიზორები და კომპიუტერი ავტომატის ჯერითაა დაცხრილული. იატაკზე ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ყრია. მოვიკითხეთ ოჯახი. "ისინი სასწაულებრივად გადარჩნენ. ერთი ფეხით გაასწრეს ამ ნაძირალებს". ძარცვით და ტაციაობით გართულ "ოპოზიციონერებს" თურმე დუდაევის გვარდიამ მოუსწრო. ახლა ისინი, ისევე როგორც მათი რუსი ძმები, სარდაფში არიან ჩაყრილები. გულდამძიმებულები წამოვედით რეზიდენციიდან.

იმ საღამოს ჩეჩნეთის ტელევიზიით გამოვიდა პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი. მან თქვა: "ამ არაკაცების ქმედება მით უფრო ამაზრზენია, რომ იგი ჩადენილია სტუმრების, ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრების მიმართ. ისინი, ვინც ამ დანაშაულს ჩადიან, არ არიან ჩეჩნები, არამედ უსამშობლო ავაზაკები და ჩვენი მხრიდან მათ დანდობა არ ექნებათ."

ვნახეთ პრეზიდენტის ოჯახი, რომელიც იმ მძიმე დღეებში მერიის ერთი თანამშრომლის ოჯახში ცხოვრობდა.

ქალაქის ცენტრში მიმდინარეობს პრეზიდენტ დუდაევის მხარდამჭერთა ხალხმრავალი მიტინგი. ხალხი ეწერება გვარდიის რიგებში. ნახავთ 13-14 წლის ბიჭებსაც და ღრმა მოხუცებსაც - ძველი კარაბინებით, სანადირო თოფებით, ხანჯლებით და ხმლებით შეიარაღებულებს. არიან ქალებიც: "ჩვენ ჩვენმა ქმრებმა და ძმებმა გვასწავლეს იარაღის ხმარება. ჩვენ დავიცავთ სამშობლოს, როგორც ჩვენი კაცები იცავენ და ჩვენც მათ გვერდით დავიხოცებით".

მიტინგზე გამოდიან კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები და მხარდაჭერას უცხადებენ ჩეჩნებს. მიტინგის წამყვანმა წაიკითხა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის მებრძოლი ეროვნული ძალების მიმართვა რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევისა და ჩეჩენი ხალხისადმი. ჩეჩნებს მხარდამჭერი სიტყვით მიმართეს სრულიად საქართველოს იბერიულ-კავკასიური მოძრაობის წარმომადგენლებმა. მოგვიანებით ეს განცხადებები ჩეჩნეთის ტელევიზიით გადაიცა. ხალხი ხანგრძლივი ტაშით შეეგება ქართველთა მხარდაჭერას.

როდესაც გაიგეს, რომ ქართველები ვიყავით, ნათესავურად გამოგველაპარაკნენ. ისინი 26 ნოემბრის ბრძოლების ამბავს ყვებიან.

ჩეჩნებმა გამოიკითხეს საქართველოს ამბებიც. ჩვენი ხელისუფლების პატრონებს, საამაყო ბევრი არაფერი გვქონდა. სწორედ ამ დროს ჩვენი საუბარი შეწყვიტა მიტინგზე გამოსულმა პოეტმა ხასი ზიბუკაევმა. მან მადლობა გადაუხადა ქართველებს თანადგომისთვის, გვისურვა შევარდნაძის მალე მოშორება და დასასრულ წაიკითხა ლექსი შევარდნაძეზე. სალაღობო ლექსმა მომიტინგეებში მხიარულება გამოიწვია.

საღამოს შევხვდით ჩეჩნეთის პარლამენტის წევრს, ბ-ნ მათე ციხისაშვილს. იგი პანკისელი ჩეჩენია. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი.

საღამო ერთად გავატარეთ. გადავეცით ქართული გაზეთები. ჩეჩნეთის ამბებზე საუბრისას, მათემ გვითხრა: "მე ვშიშობ, რომ დიდი ომია მოსალოდნელი. ხალხი შეიარაღებულია, არვინ არაფერს დათმობს, რუსებს კი მთელი ჩეჩენი ხალხის ამოწყვეტა აქვთ განზრახული".

**5 დეკემბერი**

გრძელდება რუსეთის შეიარაღებული ძალების თავმოყრა მოზდოკთან, ბესლანთან, ვლადიკავკაზთან, ზნამენსკოესთან. გროზნოში თვლიან, რომ საბრძოლო მოქმედებების განახლება სავსებით რეალურია.

გროზნოში ჩამოდიან რუსეთის დუმის დეპუტატები. აქ არის სამართალდამცველი სერგეი იაკოვლევიც. მიმდინარეობს მოლაპარაკება ტყვეთა დაბრუნების თაობაზე.

დღეს რუსეთის თვითმფრინავებმა დაბომბეს გროზნოს შემოგარენი და ქალაქი არღუნი. დაიღუპა რვა მშვიდობიანი მოსახლე. დღესვე მშობლიური სოფელი ტოლსტოიიურტი დატოვა "ოპოზიციის იმედმა" რუსლან ხასბულატოვმა. იგი მოსკოვში წავიდა.

**6 დეკემბერი**

ქალაქის ცენტრში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მიმდინარეობს ჩეჩენთა საერთო-ეროვნული მიტინგი. შუადღისთვის ქალაქის თავზე გადაიფრინა თვითმფრინავმა. ჩეჩნები არ გამორიცხავენ შესაძლებლობას, რომ რუსებმა მომიტინგეების თავზეც ჩამოყარონ ბომბები.

ინგუშეთის ტერიტორიაზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი და პაველ გრაჩოვი. მოლაპარაკება დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. "გენერლებმა გაუგეს ერთმანეთს" - ამ ბუნდოვანი ფრაზით სცადა დაეკმაყოფილებინა ჟურნალისტთა ცნობისმოყვარეობა პრეზიდენტის თანაშემწემ - სალამოვმა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ შეხვედრაზე საუბარი ტყვეთა საკითხს შეეხებოდა.

**7 დეკემბერი**

ჟურნალისტთა რაოდენობა მატულობს. ისინი გროზნოს სასტუმრო "ფრანგულ სახლში" ცხოვრობენ. 26 ნოემბრის ბრძოლების დროს ეს სასტუმრო არ დაზიანებულა.

12 საათისთვის გროზნოს კვლავ რამდენჯერმე გადაუფრინეს თვითმფრინავებმა. ალარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ დიდი ომი კარზეა მომდგარი. სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოდიან მოხალისეები. ცენტრში ხალხის ტევა არაა. გრძელდება მიტინგი. ახალგაზრდებს უჭირავთ ლოზუნგები: "სიკვდილი ან თავისუფლება", "გაუმარჯოს თავისუფალ ჩეჩნეთს", "რუსო ძაღლებო, აქ გაგითხრებათ სამარე". მიტინგს უძღვება ვაინახთა დემოკრატიული პარტია. კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში ტარდება ჩეჩენთა მხარდამჭერი მიტინგები. იორდანიაში, თურქეთში ეწყობა მიტინგები და პიკეტები რუსეთის საელჩოებთან. გროზნოში შევიტყვეთ, რომ ასეთი მიტინგი თბილისშიც ჩატარდა და ხელისუფლებამ დაარბია იგი.

საღამოს შევხვდით ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას ვიცე-პრეზიდენტს, ვაინახთა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს ზელიმხან იანდარბიევს. იგი ერთ-ერთი ლიდერია ჩეჩნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. მან გვითხრა, რომ ბოლო მოვლენები ლოგიკური გაგრძელებაა იმ პოლიტიკისა, რომელსაც რუსეთი ოთხი წლის განმავლობაში ახორციელებდა ჩეჩნეთის მიმართ. ზელიმხან იანდარბიევმა გულისტკივილი გამოთქვა საქართველოს ფაქტიური ხელისუფლების პრომოსკოვური განცხადებების გამო ჩეჩნეთის კრიზისთან დაკავშირებით. "მე მაქვს ეჭვი, რომ შევარდნაძის ხელისუფლება ჩეჩნეთის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილეა. ისეთი მმართველის ყოლა, როგორიც შევარდნაძეა, ჩვენი საერთო უბედურებაა. იგი გაწირავს თავის ხალხს, მის კეთილდღეობას, ბედნიერებას, თუ თავად საფრთხე შეექმნება".

- რუსებმა ვანდალიზმის არნახული აქტები განახორციელეს გროზნოში. ისინი ძარცვავდნენ, წვავდნენ საცხოვრებელ სახლებს, მაღაზიებს, დაწესებულებებს, ააფეთქეს მგზავრებით სავსე ტროლეიბუსი. ისინი ქუჩებში ნადირობდნენ ხალხზე - აგრძელებს ბ-ნი ზელიმხანი. - შევარდნაძე კი აკეთებს მათ მხარდამჭერ განცხადებებს. ახლა თქვენ მითხარით, - რა განსხვავებაა მათ შორის? ყოველივე ამას მე ვამბობ გულისტკივილით, რადგან საქმე ეხება იმ ხალხს და ქვეყანას, რომლისადმიც დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვარ განმსჭვალული.

ზელიმხან იანდარბიევმა გაიხსენა ის დრო, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მართავდა. თქვა, რომ ზვიადი იყო კავკასიის დიადი შვილი - დაუღალავი მებრძოლი მისი თავისუფლებისთვის. ის რომ დღეს საქართველოს პრეზიდენტი ყოფილიყო, რუსეთი ვერ გაბედავდა ჩვენი თავისუფლების ხელყოფას. ჩვენ არ ვივიწყებთ ზვიად გამსახურდიას ღვაწლს ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ვიცე-პრეზიდენტის კაბინეტში შეიხ მანსურის დიდი სურათია გაკრული. მის გვერდით კი ჩეჩნური დროშა, რომელზედაც მგელი არის გამოსახული. ჩვენ შეიხ მანსურისებური სიმტკიცე, მგლის ამტანობა და გამარჯვება ვუსურვეთ ბ-ნ ზელიმხანს და დავემშვიდობეთ.

**8 დეკემბერი**

გვაცნობეს, რომ ხასავიურტში (დაღესტანი) მიტინგი გამართეს იქაურმა ჩეჩნებმა. "თუ რუსეთი არ შეწყვეტს ომს ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ, ჩვენ გავგზავნით შეიარაღებულ ჯგუფებს ოკუპანტთა წინააღმდეგ საბრძოლველად" - ნათქვამია რეზოლუციაში.

დონის კაზაკთა ატამანებმა გააფრთხილეს რუსეთის პრეზიდენტი, რომ თავი შეიკავოს რუსული ჯარის შემოყვანისგან კონფლიქტის ზონაში. "ეს გამოიწვევს ხანგრძლივ, დამანგრეველ კავკასიურ ომს, რაც დაუშვებელია" - განაცხადეს მათ.

რუსეთის ჯარები სულ უფრო უახლოვდებიან ჩეჩნეთის საზღვრებს. რამდენიმე დღეში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას ელიან.

**9 დეკემბერი**

გროზნოში გარეგნულად სიტუაცია უცვლელია. თუმცა, იგრძნობა დიდი შინაგანი დაძაბულობა.

საღამოს რუსეთის ტელევიზიამ გადმოსცა რუსეთის პრეზიდენტის განკარგულება "ჩეჩნეთში არსებული ბანდიტური ფორმირებების განიარაღების შესახებ".

ძირითადად "ჩეჩენპრესში" ვართ. აქ იყრიან თავს ჟურნალისტებიც. ბევრი მათგანი ყოველ დილით მგზავრობს საზღვრებისკენ, საიდანაც სავარაუდოდ უნდა შემოვიდნენ რუსები. "ჩეჩენპრესში" არის ტელეფონი, აქედან შედარებით იოლად შეიძლება დარეკვა სხვა ქალაქებში. აქ გავიცანით უკრაინელი მოხალისე საშკო ბილი. იგი უკრაინული პატრიოტული ორგანიზაციის წარმომადგენელია და აქ საველე ჟანდარმერიას მეთაურობს. საშკო ნამყოფია საქართველოშიც. იგი ქართველთა მხარეს იბრძოდა აფხაზეთში. "ჩვენ ვიბრძვით ყველგან, სადაც წყეული მოსკალები არიან". - იცინის საშკო. ყოველდღე რეკავს კიევში. გადასცემს ინფორმაციას თავის პარტიაში.

"მამაჩემი და პაპაჩემი რუსების წინააღმდეგ იბრძოდნენ. რუსებმა მომიკლეს ორი ბიძა. ისინი ვერ ეტევიან თავის ქვეყანაში. მათ უნდათ გაარუსონ ჩემი სამშობლო, თქვენი სამშობლო - საქართველო, ჩეჩნეთი. მათ აქ ცხვირ-პირში უნდა მიიღონ. სხვაგვარად არაფერი გამოვა". - ამბობს საშკო.

**10 დეკემბერი**

გრძელდება საშინელი მოლოდინი. ქუჩებში სულ უფრო მრავლად ჩანან შეიარაღებული მებრძოლები. დროდადრო ფრენენ თვითმფრინავები. არტილერია ცეცხლს უშენს მათ. ისმის საჰაერო განგაშის ხმა.

ახლახანს მოვიდა ცნობა, რომ ელცინი საავადმყოფოშია. იქ მყოფებმა ეს "ავადობა" ომის დაწყების უტყუარ ნიშნად აღიქვეს. 11 დეკემბრის დილამ გაამართლა ჩვენი ეჭვები -რუსეთის ჯარებმა გადმოკვეთეს საზღვარი და ჩეჩნეთში შემოვიდნენ.

ღამით მთავრობის სახლთან გამოჩნდნენ ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, ქვემეხები. იმატა შეიარაღებული ხალხის რიცხვმაც. ისინი პრეზიდენტის სასახლეს იცავენ.

მთელი ღამის განმავლობაში გრძელდება მიტინგი თავისუფლების მოედანზე. ისმის მხედრული სიმღერები, ცეკვავენ საბრძოლო ცეკვას "ზიკრ" და ამხნევებენ ერთმანეთს.

ჩეჩნები ემზადებიან ბრძოლისთვის.

ნუგზარ წიკლაური

*გროზნო*

## საფრანგეთ-საქართველოს საზოგადოება

ბ-ნ ე. შევარდნაძეს

ო. ზურაბიშვილისგან
/კომიტეტის თავმჯდომარე/

06/02/95 20:45

ბ-ნო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურო, განა სჭირდება საქართველოს ახალი წამებულები?

პროცესი, რომელიც წარიმართა დაცვის უფლებათა დარღვევით, ბრალდებულებზე ზეწოლითა და წამებით, რომელსაც აღიარება არ მოჰყოლია და რომელზეც მოითხოვეს ბ-ნების პ. გელბახიანისა და ი. დოკვაძის სიკვდილით დასჯა, ძალიან ჰგავს საბჭოთა პერიოდის კარიკატურულ სასამართლო პროცესებს.

როგორც მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (მათ შორის Amnesty International-მა) დააფიქსირა, განსასჯელებს წართმეული აქვთ, სამართლიანი სასამართლოს უფლება. ჩვენი საზოგადოების წევრები, ღრმად შეძრულნი პროცესის მსვლელობისას დაფიქსირებული მრავალი დარღვევით, გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად გამოიყენოთ თქვენი გავლენა, რათა პროცესს მიეცეს დემოკრატიული სახე და ამოქმედდეს ბრალდებულთა დაცვის უფლებები.

დარწმუნებულნი ვართ, თქვენი პასუხი არ იქნება დემოკრატიის ელემენტარული პრინციპების საწინააღმდეგო.

პატივისცემით
ო. ზურაბიშვილი

ბ-ნ მინდია უგრეხელიძეს

ო. ზურაბიშვილისგან
/კომიტეტის თავმჯდომარე/

06/02/95 20:45

ბატონო,

საერთაშორისო ორგანიზაციები ყურადღებით ადევნებენ თვალს საქართველოში მიმდინარე სასამართლო პროცესს. ბრალდებულთაგან ორისთვის, ბატონების -პ.გელბახიანისა და ი.დოკვაძისთვის ყველაზე მძიმე სასჯელი მოითხოვეს.

ჩვენი საზოგადოების წევრები გულწრფელად აღელვა და შეაძრწუნა ამ სასამართლო პროცესზე დაცვის ელემენტარული უფლებების დარღვევის ფაქტმა, რაც მათ შეიტყვეს ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებისა და პრესის საშუალებით. ისინი დაჟინებით მოითხოვენ თქვენგან ამ საქმეში ჩარევას.

მართლაც, თქვენი მდგომარეობა გავალებთ, აიღოთ პასუხისმგებლობა დაცვის ელემენტარული უფლებების უგულებელყოფაზე და იმ ჩვენთვის ცნობილ დარღვევებზე. ვფიქრობთ, ჯერ კიდევ არის დრო, გამოსწორდეს ყოველივე ეს, რათა საქართველო და მისი მართლმსაჯულება არ იყოს კომპრომეტირებული საერთაშორისო პრესაში.

იმედი გვაქვს თქვენი სამართლიანობის. ვფიქრობთ, შეეცდებით გავლენა მოახდინოთ პროცესზე უსამართლობის თავიდან ასაცილებლად. ვიმედოვნებთ, ყოველივე ეს საშუალებას მისცემს დაცვას, აამოქმედოს თავისი უფლებები.

დიდი პატივისცემით
ო. ზურაბიშვილი

საქართველოში საფრანგეთის ელჩს
ბ-ნ ბერნარ ფასიეს

ო. ზურაბიშვილისგან
კომიტეტის თავმჯდომარე/

06/02/95 20:45

ბატონო ელჩო,

ჩვენი საზოგადოების წევრები ძლიერ აღელვებულნი და შეძრულნი არიან იმ სასამართლო პროცესის გამო, რომელიც ახლა მიმდინარეობს საქართველოში. ვინაიდან პროცესი, რომელიც სხვებთან ერთად შეეხება პ. გელბახიანსა და ი. დოკვაძეს, მიმდინარეობს დაცვის ელემენტარული უფლებების მრავალი დარღვევით, ისინი დაჟინებით გთხოვენ თქვენ, ჩაერიოთ.

მართლაც, როგორც იცით, პროცესი წარიმართა ბრალდებულთა დაცვის უფლების სრული უგულებელყოფით, მათზე საშინელი ზეწოლით; ბრალდებულები აწამეს და თუმცა მათ წამებას აღიარება არ მოჰყოლია, პროკურორმა მოითხოვა ბატონების პ. გელბახიანისა და ი.დოკვაძის სიკვდილით დასჯა. ყოველივე ეს და ამ პროცესის ბევრი სხვა მხარე მოგვაგონებს საშინელი საბჭოთა პერიოდის კარიკატურულ სასამართლო პროცესებს.

მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (მათ შორის Amnesty Internftional) აღნიშნულ იქნა სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლების უგულებელყოფა. ამის გათვალისწინებით, გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენი გავლენა, რათა დაცვამ აამოქმედოს თავისი უფლებები გამოუსწორებელი შედეგის თავიდან ასაცილებლად.

დიდი პატივისცემითა და იმედით, რომ გასწევთ შუამდგომლობას საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებასთან.

უსამართლობა თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

ო. ზურაბიშვილი

## საზოგადოება სამართლიან სასამართლოს მოითხოვს

## პეტიციაზე ხელმოწერები გრძელდება

"თავისუფალ საქართველოს" წინა ნომერში გამოქვეყნებულ პეტიციას უერთდებიან:

ნოდარ წულეისკირი, გიორგი მაყაშვილი, ირმა წულეისკირი, გურანდა ღვალაძე, ციცინო გაბისკირია, პაატა ჩიქოვანი, თამარ გულბანი, ნანა კაჭაბავა, ცოტნე ნაკაშიძე, მაია გამცემლიძე, ნანა დოლიძე, ვანო ტურიაშვილი, ირინე ონიანი, ელენე საყვარელიძე, მანანა მურღულია, კიაზო ჯაფარიძე, მერი შენგელია, თამარ იობიძე, საშა შენგელია, მადლენა გოგიბერიძე, თეიმურაზ ჯალაღანია, ეთერ შავგულიძე, შოთა ინასარიძე, ალექსანდრე გათენაძე, ლატავრა ფოჩიანი, კიაზო ნადარეიშვილი, დევი უგრეხელიძე რეზო რამიშვილი, დუგლას ჯამბაზიშვილი, რეზო კვარაცხელია, თამარ დავითური, ანზორ თაგვაზე, ქეთევან გვარამიძე, სიმონ გვრიტიშვილი, ბონდო ხომასურიძე, ნუგზარ ებანოიძე, გივი გეგელიძე, ჯუმბერ ნადირაშვილი, აკაკი გოჩალეიშვილი, ჯუმბერ ჭელიძე, ინეზა სტურუა, თამარ ქაცარავა, პეტრე შამათავა, ლალი გობეჩია.

ხელმოწერები გრძელდება

# სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად

## რა ეკადრება დემოკრატიული სახელმწიფოს პროკურორს

8 თებერვალს სხდომა დაიწყო ადვოკატ ვ. კუტივაძის გამოსვლით: "სრულიადაც არ გამიკვირდებოდა პროკურორის მწვავე საბრალდებო სიტყვა და უმკაცრესი სასჯელები, რითაც მან დაგვასაჩუქრა, მას რომ სწორი შეფასება მიეცა ამ "დანაშაულისთვის" - პროკურორმა არ გაუკეთა ამ საქმეს სწორი ანალიზი და არ მოგვცა სწორი დასკვნა. დარწმუნებული ვიყავი, რომ პროკურორი აღიარებდა წინასწარი ძიების უხარისხობას, ნაწილობრივ მოუხსნიდა განსასჯელებს ბრალს ან, უკიდურეს შემთხვევაში, საქმის ძიებაში დაბრუნებას მაინც მოითხოვდა...

საკვირველია, რომ პროკურორმა ამ ვეებერთელა საქმეში 17 პირის მიმართ, ვერ დაინახა დაშვებული საშინელი დარღვევები ვერც წინასწარ ძიებაში, ვერც სასამართლო პროცესის მსვლელობისას, მაშინ როდესაც ეს დარღვევები იმდენად დიდია, რომ მათ კარგი ბუღალტერიც კი დაინახავდა. წინასწარ ძიებას საქმე მიჰყავდა მიუღებელი მეთოდებით - ვერც ეს დაინახა ბ-ნმა კახამ. ვერ დაინახა მან რატომღაც ვერც სასამართლოს მიერ დაშვებული სერიოზული დარღვევებიც...

ასეთი რამ საერთოდ არ ხდება - პროკურორმა 17-ვე განსასჯელის მიმართ ბრალი დადასტურებულად ცნო წერტილიდან წერტილამდე და ყოველგვარი შესწორების გარეშე იშუამდგომლა უმკაცრეს სასჯელზე. მისი ასეთი ქმედება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ პროცესზე იგი მოქმედებდა არა თავისი რწმენითა და შეხედულებით, არა როგორც კანონიერებაზე ზედამხედველი, არამედ მან შეასრულა მისი უშუალო ხელმძღვანელის დავალება, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს პროკურორს არ [illegible]

შუამდგომლობა დაყენა დაგვიანებით, მაგრამ კანონის დარღვევაა, რომ სასამართლომ უარი უთხრა ამ შუამდგომლობაზე. საბოლოო სიტყვაშიც რომ ეთქვა ამის შესახებ, მაშინაც უნდა განეხილათ ეს შუამდგომლობა, მით უმეტეს, მან მაშინ გთხოვათ ეს, როცა სასამართლო ჯერ კიდევ დამატებითი მოწმეების დაკითხვისა და მტკიცებულებების წარმოდგენის სტადიაზე იყო.

[illegible]

დღეს, ერთი და იგივე დაკითხვაზე ორი სხვადასხვა დადგენილების შედგენა?! თუ იქნებ მჭედლიშვილი იმხილებოდა უფრო მძიმე დანაშაულში?! დადგენილება მჭედლიშვილის სხვა დანაშაულში მონაწილეობის შესახებ გამოიტანეს 1992 წლის 24 აგვისტოს, ძიება კი დამთავრდა 1993 წლის 20 აგვისტოს. ამ ხნის მანძილზე მჭედლიშვილს იოტისოდენადაც არ დაუმძიმდა დანაშაული. მისი ბედი თქვენზეა მინდობილი, ბ-ნო მოსამართლენო!"

შემდეგ ადვოკატი შეეხო მისი დაცვის ქვეშ მყოფი მეორე განსასჯელის, გ. კალმახელიძის ბრალეულობის საკითხს: "მან აქ გულახდილად აღიარა, რომ იყო კანონიერი ხელისუფლების მომხრე და იარაღი, რომლის ჩამოტანაშიც მას ბრალი ედება, საჩხაბლოში უნდა წაეღოთ. [illegible]

[illegible]

... ქეს მოწმე შემდეგ აჩვენებს, რომ ეს ხელ-ფეხ გადატრიალებული კაცი "გამოიყვანეს მანქანიდან" და ა.შ. საქმის მიხედვით ირკვევა, რომ ზ.წიკლაური აუყვანიათ 8 აგვისტოს 12 საათსა და 30 წუთზე ქუჩიდან, მაგრამ ამავე დროს საინფორმაციო - სადაზვერვო სამსახურის გამომძიებელი თავის პატაკში აჩვენებს, რომ ზ.წიკლაური შემოვიდა მისი ძმის ბინის ჩხრეკის დროს და აყვანილ იქნა 7 აგვისტოს დილის 17 სთ-ზე. "წიკლაურის ბრალეულობა რომც იყოს დამტკიცებული, მას 4 აგვისტოს მანიფესტი მაინც უნდა შეხებოდა", - დაასკვნა ადვოკატმა. საბოლოოდ გ.კაპანაძემ აღნიშნა: "იმ საქმის მასალების მიხედვით, რომელსაც მე გავეცანი, ვერ ვნახე ვერც ერთი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მის ბრალს". ამდენად, მან მოითხოვა ზ.წიკლაურის გამართლება და იქვე კვლავ განაცხადა, თვით მისი აზრი არ ვიცით.

## როცა განსასჯელი არ ენდობა დამცველს

ვ. ზირაქიშვილის შემდეგ 9 თებერვლის სხდომაზე გამოვიდა განსასჯელ ზ. წიკლაურის სახაზინო დამცველი - ადვოკატი გ. კაპანაძე. [illegible]

[illegible]

## ვისი დამცველია ზირაქიშვილი?

9 თებერვალი

სხდომა ისე დაიწყო, რომ მას ესწრებოდა მხოლოდ სამი ადვოკატი: ზირაქიშვილი, მოსესიანი და კაპანაძე.

თავისი დაცვითი სიტყვა წარმოთქვა ადვ. ვ. ზირაქიშვილმა,რომელიც სახაზინო წესით დაუნიშნეს სამ განსასჯელს: თ. კაპანაძეს, შ.აფციაურსა და ხ. ხახუაშვილს. ამ სამიდან სხდომებს ესწრებოდა მხოლოდ ხახუაშვილი.

ვ. ზირაქიშვილმა მონოტონურად, თავის აუწყველად 10 წუთში ჩაიკითხა თ.კაპანაძისა [illegible]

მოს. - იტყვის!

ხ. ხ. - ვერ იტყვის! თექსმეტი თვეა საერთოდ არ გამკარებია.

მოს. - შეიტანეთ ოქმში: არღვევს წესრიგს, იძახის - "ვერ იტყვის ჩემზე სიტყვასო". ზირაქიშვილო, ადექით!

ხ. ხ. - მე ვაცხადებ, რომ ადვოკატი არა მყავს - ზირაქიშვილს არა აქვს უფლება თქვას სიტყვა.

მოს. - მოუსმინეთ, თუ არ მოგეწონებათ, მერე თქვით...

[illegible]

(გრიშა ელისაშვილის ნაცვლად)

ხ. ხ. - (ფეხზე წამომდგარი) ვინ არის ეს [illegible] აშვილი, რას კითხულობს, თქვენ გესმით?! საქმესაც არ იცნობს, როგორ უნდა დამიცვას?!

მოს. - შეწყვიტეთ, გაგაძევებთ.

ზირაქიშვილი არც გაჩერებულა, ისე აგრძელებს კითხვას, დარბაზში ჩოჩქოლია.

ხ. ხ. - პირდაპირ 15 წელი მომეცით, ან დამხვრიტეთ - გამაძევეთ, ბატონო!

ადვოკატები იცინიან.

მოს. - არაფერია სასაცილო... გაჩერდ [illegible]

[illegible]

## გზა არ აფეთქებულა, რაზმაძე არ დაზარალებულა

7 თებერვლის სხდომაზე ადვოკატ გ. მოსესიანის შემდეგ დაცვითი სიტყვით გამოვიდა ადვოკატი ფეიქრიშვილი, რომელიც გამოხატავდა სამი განსასჯელის - გოგიჩაშვილის, ლაშქარაშვილისა და დანელიას ინტერესებს. ამათგან, ზურაბ გოგიჩაშვილს [illegible]

ოცდილების მქონე ადამიანი ხელყუმბარას ინახავდეს გაზქურაში. სხვათა შორის, მაშინ ჯერ კიდევ იყო გაზი, დღეს უკვე სრულიად უსაფრთხოდ შეიძლება გაზქურაში ყუმბარის შენახვა".

დამცველი შეეხო გოგიჩაშვილის ბი- [illegible]

[illegible]

გზის აფეთქების მეორე მცდელობაც. თუ ასეა, ე. ი. ბრალდებულმა თავი აარიდა დანაშაულის ჩადენას."

ვახტანგ რაზმაძეზე თავდასხმის მცდელობასთან დაკავშირებული ბრალდების თაობაზე ადვოკატმა მიუთითა, რომ სასამართლოზე გამოქვეყნდა მხოლოდ წინასწარი გამოძიების დროს მოპოვებული მასალები, არ დაკითხულა არავინ და არავითარი სამხედრო ძიება არ ჩატარებულა.

"ვ. რაზმაძის სამეცნიერო ბარათი მოწმობს, რომ იმ დროს, როცა მასზე, ძიების მასალების თანახმად, მხედრ- [illegible]

[illegible]

კრის" საწყობში იმ დღეს, ამის თაობაზე არც ერთი კაცი არ დაკითხულა. ისიც ვიცით, რომ თვად "ლაგრის" პრეზიდენტმა ყველაფერი გაიტანა ფირმიდან. ეს თავდასხმა კიდევაც რომ განეხორციელებინა ლაშქარაშვილს, მან უკვე აანაზღაურა მიყენებული ზარალი." - აღნიშნა ადვოკატმა.

მამუკა დანელიას მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით დამცველმა თავიდანვე ხაზი გაუსვა მის საბრძოლო წარსულს - შიდა ქართლში ქართული მიწისა და მოსახლეობის დასაცავად გაწეულ ღვაწლს - და [illegible]

[illegible]

## ვინ სცემა გედევან გელბახიანი?

სხდომის ბოლო სიტყვა მიეცა გედევან გელბახიანის დამცველს - ადვოკატ აგლაძეს. პროკურორის მიერ წაყენებული ბრალდებების უარსაყოფად მან ერთობ ორიგინალური გზა აირჩია - უბრალოდ, წაიკითხა საბრალდებო დასკვნის რიგი ციტატები, რომლებში ასახულ ქმედებათა ჩადენაში მოიხსენიება ე. წ. ყაჩაღის საქმის თითქმის ყველა მონაწილე, მაგრამ არსად ფიგურირებს გ. გელბახიანის გვარი და მიუხედავად ამისა, მას აქ "და- [illegible]

[illegible]

სობოლოოდ ბ-ნმა აგლაძემ მოითხოვა: ბრალეულობის დაუმტკიცებლობის გამო, განსასჯელი გედევან გელბახიანი გამართლებულ იქნეს.

## "ეს პოლიტიკური პროცესია"...

## - აცხადებს პეტრე გელბახიანის ადვოკატი

8 თებერვლის სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა ორიად კონსტანტინემა თავისი დაცვითი სიტყვის დაწყებამდე გააკეთა განცხადება 3 თებერვალს პეტრე გელბახიანთან შეხვედრის შესახებ. მან შეახსენა სასამართლოს, რომ იგი იცავს განსასჯელს არა მისი სურვილის შესაბამისად, არამედ სასამართლოსა და ადვოკატთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, იძულების წესით.

"პ. გელბახიანმა მომიხადა ბოდიში და მითხრა, რომ ორი კვირის წინ ამის შესახებ მისწერა გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიას. მან მკითხა, შეიძლება თუ არა დავეცვი სიტყვა მე თვითონ კონქეთა. მე განვუმარტე რომ 262-ე მუხლის შესაბამისად, ეს უფლებაც ჩამორთმეული აქვს. ჩვენი საუბარი ამაზე დასრულდა."

[illegible]

(დასასრული მე-6 გვ.)

# “ეს პოლიტიკური პროცესია“ ...

(დასაწყისი მე-5 გვ.)

გამოჩენილიყო სადმე, ოღონდ ობიექტურად.

მე ჩემს პატარა პრეამბულაშიც აღვნიშნე, რომ საქმე იმსახურებდა უფრო ობიექტურ გამოძიებას და განხილვას. გადახედეთ საპროცესო კანონმდებლობის მუხლებს - 2, 11, 12, 13, 14, 17, 18, 20, 42, 43, 44, 45, 46, 206, 211. ეს მუხლები დაირღვა გამოძიების დროსაც და, სამწუხაროდ, დაირღვა აქ, დარბაზშიც.

2-ე მუხლი, რომელიც მოითხოვს დანაშაულის სწრაფ და სრულ გახსნას, დამნაშავეთა მხილებას, კანონის სწორი გამოყენების უზრუნველყოფას, კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცებას, დანაშაულის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას, მოქალაქეთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. საქმის რომელ სრულ გახსნაზე შეიძლება ვილაპარაკოთ: აქ, სასამართლოზე ნაწილი დაზარალებულებისა, ნაწილი მოწმეებისა გვეუბნება - ორი აფეთქება იყო: ჯერ დაბალი ხმის, მერე უფრო ძლიერი; იყო ავტომატის ჯერი - და ამით არავინ ინტერესდება. როგორ დავიჯერო, რომ ეს მარტო სასამართლოზე თქვეს და გამოძიებას არ ეტყოდნენ?!

ვთქვათ, ამ ხალხს მოეჩვენა და არც სროლა იყო, არც სხვა არაფერი. მაგრამ აიღეთ ჯ. იოსელიანის დაცვის მუშაკების, სხვა ხალხის ჩვენებები - გვეუბნებიან, რომ რაღაც ავტომანქანაში იჯდა სამი კაცი, აქედან ერთი დაწოლილი, და მანქანამ სროლა-სროლით გაიარა სპორტის სასახლისკენ. და არავინ ამას ყურადღებას არ აქცევს.

დაცვის მეორე წევრი ამბობს, რომ წინა დღით წააწყდნენ მანქანას, რომელშიც რამდენიმე ავტომატიანი კაცი იჯდა. კითხვაზე - ვინა ხართ? პასუხობენ - ედპ-ს, ჭანტურიას დაცვიდან. ამ დროს იოსელიანის დაცვიდან ერთი ეუბნება თავის ამხანაგებს - ედპ-ს დაცვიდან ჩვენ ყველას ვიცნობთ, ესენი იქიდან არ არიანო. მათი უფროსი განმეორებით მიდის და საბუთებს მოთხოვს. ახლა უკვე უთხრეს - ჩვენ სამმართველოდან ვართო. გაქრა ეს მანქანაც, გაქრა ეს ვითომ ედპ-ს დაცვის ხალხი. ამხელა აფეთქება მოხდა, ამდენი ხალხი დაიხოცა, უბანი დაინგრა, ეს ჩვენება კი გამოძიებაში რაღაც გასაოცრად გაქრა, იმ ახსნა-განმარტების გარდა ამ ეპიზოდზე არაფერი დარჩა.

უშუალოდ მინდა შევეხო იმ საკითხებს, რომელიც კონკრეტულად საქმეს ეხება. ალბათ, უნდა დავიწყო ყვარლის ტყის ეპიზოდით...

გჯერათ ახლა თქვენ, რომ გამსახურდიამ გროზნოში დაგეგმა ბანდიტური ჯგუფის შექმნა და ამათ გადაწყვიტეს - წავიდეთ “ხერგილი“ რომაა რესტორანი, იქა და ქვაბები, ნახევარი თავი ყველი, პამიდორი წამოვიღოთ და შევჭამოთო?! ამის დაგეგმვა შეიძლებოდა იქა?! საქმეში არის მასალები, რომ იქმნებოდა სამხედრო რაზმი, დოკვაძე იძახის: ბატალიონი უნდა შექმნილიყო, შეიძლება პოლკად გადაკეთებულიყოო. მზარეულიც ჰყავდათ და ბანდიტი გელბახიანი წამლების ორი ჩანთით. მე არ ვიცი, ასეთი ბანდიტიზმი თუ გვქონია პრაქტიკაში, რომ ორი ჩანთა წამლები ჩაბარდა გელბახიანს და დაინიშნა სანიტარული განყოფილების უფროსად. რად უნდა ბანდას სანიტარული განყოფილება?!

დაიკითხა უამრავი მილიციის მუშაკი. ზოგმა გვითხრა - საერთოდ იქ არავინ გვინახიაო, შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს და ესენი გაიქცნენო, თავდასხმით, თავს არავინ დაგვესხმიაო. ე.ი. 4 თუ 17 კაცი დასხმია თავს 100 კაცს? აბა, მიდი და გაიგე, ვინ რამდენი იყო. მაშინდელი სატელევიზიო გადაცემებიდან და მითქმა-მოთქმიდან ირკვევა, რომ ძალისმიერი ორგანოების 2 000 წარმომადგენელი იყო. აქ ამბობენ ასიო, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ჩვიდმეტი კაცი გადმოუხტა, ავტომატის ჯერი დააყარა, იყო სროლა და ერთი უბედურება?! რა სროლა იყო - იბომბებოდა? რას ბომბავდნენ? ან რანაირი თავდასხმა იყო, როცა 22 ავტომატიდან ერთი ტყვია არ მოხვდა არავის?!

რაც შეეხება “მხედრიონზე“ თავდასხმას, ნახეთ გელბახიანის ჩვენება, ვინმე დაინტერესდა და შეამოწმა? - მივედით “მხედრიონის“ ბანაკში, გადავჭერით მავთულხლართი, შევედით, გავიარ-გამოვიარეთ ეზოში, მივედით განსაიარაღებლად, მაგრამ იქ ადგილობრივმა ბიჭებმა გვითხრეს, ესენი ოჯახის წევრებთან ერთად არიანო და მოვერიდეთ სისხლისღვრას, წამოვედითო.

ეს არის თავდასხმა? ეს არის განადგურება? იქ თავდასხმა რომ ყოფილიყო, არ ჩამოაღწევდა ჩვენამდე ეს ამბავი? არ იტყოდნენ მხედრიონელები, თავს დაგვესხნენ და აგვაწიოკესო? კაციშვილი არ ამბობს ამას და მაინც, გინდა თუ არა, თავდასხმა იყოო.

გელბახიანის მიმართ შემდეგი ბრალდებაა: ტერორისტული აქტი ჩიქოვანის ქუჩაზე. ძირითადი მტკიცებულებანი, რითაც გამოძიება სარგებლობს და რასაც სახელმწიფო ბრალმდებელი დაეყრდნო, გახლავთ დოკვაძის, გედი გელბახიანის, მამედოვის, პერეგუბისა და ლელა გიორგობიანის ჩვენებები, კაშუბების (აფეთქებული “ზაპოროჟეცის“ მფლობელები, რომელთაგანაც ვითომდაც იქნა შეძენილი მანქანა. ამჟამად ცხოვრობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ - რედ.) მიერ ამოცნობის დოკუმენტი.

თქვენ იცით, რომ გელბახიანი საერთოდ უარყოფს ამ ბრალდებას, მაგრამ მე ვლაპარაკობ იმის შესახებ, რაც გამოძიებას დადგენილად მიაჩნია და რაც სასამართლომდე მოიტანა, ე. ი. მტკიცებულებებზე, ამ შემთხვევაში - დოკვაძის აღიარებაზე. მე სიმართლე მინდა მოგახსენოთ - არ მჯერა მე დოკვაძის, არ მჯერა! აბა, დააკვირდით მის ჩვენებებს: ურთიერთსაწინააღმდეგოა, ხშირ შემთხვევაში შინაარსობრივად განსხვავებული. გაიხსენეთ 4 სექტემბრის დაკითხვა: აქ დოკვაძე იძახის, განვლაგდითო - სახლის ერთ სადარბაზოში მე, მეორეში - პეტრე, მესამეში, სადღაც შენობის ბოლოს - გრიშა ელისაშვილი, და უეცრად გაისმა აფეთქებაო. ე. ი. დანაშაულის ჩადენა ხდება ქუჩაში. ასევეა მეორე და მესამე ჩვენების მიხედვით, მაგრამ გადის ცოტა ხანი და ეს მოქმედება გადადის ბინაში. ახლა უკვე ჩვენებებში წერია: მე და პეტრე ვიყავით პატარა საძილე ოთახში, ფანჯარაში ვიყურებოდით, ელისაშვილი კი მისაღებ ოთახში იჯდა და როდესაც მანქანა გამოჩნდა, დავუძახეთო. არის ჩვენებები, სადაც დოკვაძე იძახის - მე პატარა ოთახში ვიჯექი, პეტრე კი სამზარეულოში წყალს სვამდაო. აქ კი, პროცესზე თქვა - სამზარეულოსკენ მიდიოდაო.

ირაკლის ჩვენება პარადოქსების გარეშეც არ არის, კერძოდ, 10 ივნისის ამბებთან დაკავშირებით. “10-შიც გვინდოდა აფეთქება, მაგრამ კამათი მოგვივიდა ამ დისტანციური აპარატის გამოყენების მიზანშეწონილობაზე და იმდენი ვიკამათეთ, რომ იოსელიანის მანქანამ ჩაიარაო.“ გამოეპარათ! მე არ ვიცი თქვენ თუ დაიჯერებთ, მე კი არ მჯერა...

კიდევ ერთი უცნაურობა. თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო გროზნოს მოვლენებზე. ამას წინათ მოსკოვის ტელევიზიით ითქვა, რომ გროზნოს ცენტრში 197 ტანკი იქნა აფეთქებული თავისი ეკიპაჟიანად რადიომართვადი მინებით. ვის სჭირდებოდა დოკვაძის, ბოდიში და, სარჩილავი და რაღაც გამოგონება, თუ გამსახურდიას ეს ბანდა ჰყავდა და ტერაქტები ჰქონდა განზრახული, ვერ სთხოვდა დუდაევს, ერთი ცალი რადიომართვადი პულტი მაჩუქეო?! რა პრობლემა იყო, დოკვაძე რომ არ დამჯდარიყო და არ გამოეგონებინა ველოსიპედი, თანაც, როგორც საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, ეს გამოდგა მანქანის სიგნალიზაცია. ეგეც არის თუ არა, არც ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ამ სქემის ავტორი იძახის სიგნალიზაციააო და შეამოწმეთ. (წინასწარი ძიების დროს ა.ბალუაშვილმა სთხოვა ი. დოკვაძეს დაეხაზა დისტანციური სამართავი პულტის სქემა. დოკვაძემ მართლაც დახაზა რაღაც სქემა, რომელიც არც ერთ ექსპერტს არ შეუმოწმებია. როგორც თავად დოკვაძემ განაცხადა სასამართლო პროცესზე, ეს იყო მანქანის სიგნალიზაციის სქემა - რედ.)

წინააღმდეგობრივია გ. გელბახიანის ჩვენებებიც. ერთგან იგი ამბობს: “მე ჩემს შვილის ბიქფორდის შნური მივუტანე და მათ დაიწყეს “ზაპოროჟეცში“ ასაფეთქებელი ნივთიერების დამონტაჟებაო“. ბიქფორდის შნურს ცეცხლი უნდა [illegible] და როცა დაიწვება, მაშინ აფეთქდება. თოკის შნური აქ გამოყენებული ვერ იქნებოდა. არაფერში არ არის გამოსაყენებელი ელექტრონის გამტარიც. რატომ იძახის ამას გ. გელბახიანი, გაუგებარია.

ავტომანქანა “ზაპოროჟეცის“ შეძენაზე, დოკვაძის ჩვენების გარდა, არის ბ. ბოჭორაძის ჩვენებაც: “მივედი, დავესწარი ლაპარაკს, ერთმანეთს ეუბნებოდნენ - წითელი “ზაპოროჟეცი“ იყოო, რამდენად იყიდეო და ა. შ. ამის შემდეგ წითელ “ზაპოროჟეცზე“ ლაპარაკი არ ყოფილა.

მეორე არგუმენტია “ზაპოროჟეცის“ მფლობელების, ცოლ-ქმარ კაშუბების, აგრეთვე მამედოვისა და პერეგუბის ჩვენებები, უფრო სწორედ, ამოცნობის ოქმები. პირველად რომ დაუბარებიათ კაშუბები უშიშროების სამმართველოში, უთქვამთ, რომ მათი მანქანით მოხდა ავარია. მერე უკვე სხვისგან გაუგია, რომ მისი მანქანა ტელევიზორში ნახეს აფეთქებული. ბუნებრივია, ამის შემდეგ ცოლიც და ქმარიც დაინტერესებულია, ოღონდ ვინმე ამოიცნონ, ე. ი. თვითონ არაფერში გაეხვიონ. ასეთ პირობებში ხდება ამოცნობა.

მე-2 ტომის 168-ე გვერდზე წერია: ტატიანა კაშუბას წარედგინა სამი პირის ფოტოსურათი, N3-ზე ვინ არის - უცნობია, საერთოდ ოქმშიც არ წერია, ვისი სურათია. ტატიანამ ამოიცნო - 1992 წლის 7 ივნისს ჩემი ბინის ფანჯრიდან, მესამე სართულიდან დავინახე ეს კაცი რომ მოვიდა ჩემი ქმრის მანქანით. მასთან ერთად იყო მეორე პირი - მაღალი და გამხდარიო. ეს, ალბათ, ელისაშვილი ამოიცნო და ამბობს - მეორე შედარებით სრული იყოო.

ეს მოწმეები სასამართლოზე ვერ მოიყვანეს. კარგით, კაშუბები წავიდნენ უკრაინაში, მაგრამ მამედოვი და პერეგუბი? ასეთ სერიოზულ საქმეზე ამ კაშუბების ამოს ჩამოყვანა აცნობად , მიზანშეწონილი იყო. გელბახიანი რომ წარვუდგინოთ კაშუბას, ამოიცნობს? შეიძლება - ამოიცნოს, შეიძლება - არა. რა მტკიცებულებებია ეს? ფიზიკური მონაცემებით მაღალ და გამხდარ კაცს ამ დარბაზშიც ბევრს იპოვით, მაგრამ გამოგადგებათ ეს მტკიცებულებად?

* * *

ამ და სხვა არგუმენტების საფუძველზე ადვოკატმა განაცხადა, რომ საქმე და საბრალდებო დასკვნა არ არის გამყარებული დამაჯერებელი მტკიცებულებებით და მოითხოვა სასამართლოსგან პეტრე გელბახიანის გამართლება.

---

## ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია - IGFM/ISHR

სასწრაფოდ

მის აღმატებულებას
პრეზიდენტ
ედუარდ შევარდნაძეს

თბილისი
საქართველოს რესპუბლიკა

მაინის ფრანკფურტი
3. 02. 95

თქვენო აღმატებულებავ!

მაქვს პატივი მოგმართოთ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ განხილვას ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ჩვენ შეშფოთებით ვადევნებთ თვალყურს პოლიტპატიმრების ვიქტორ დომუხოვსკის, ირაკლი დოკვაძის, ზაზა წიკლაურის, დოქტორ პეტრე გელბახიანის, პროფესორ გედევან გელბახიანისა და სხვათა (სულ 19 ადამიანის) სასამართლო პროცესს, რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება.

ალბათ მოგეხსენებათ, რომ მათ ბრალად ედებათ ღალატი და ტერორიზმი, რისთვისაც ისინი დიდი ხანია დაპატიმრებულნი არიან ბ-ნ წიკლაურთან ერთად 1992 წლის აგვისტოდან. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 1995 წლის 31 იანვარს პროკურორმა ბ-ნმა კობერიძემ ამ პატიმრებისთვის მოითხოვა სიკვდილით დასჯა და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს ჩვენ არაერთხელ მივიღეთ ცნობა იმ კრიტიკის შესახებ, რაც გაისმა როგორც სასამართო პროცესის, - რომელიც ძალზე შორსაა საერთაშორისო იურიდიული ნორმებისგან, - ასევე პატიმრებისადმი მოპყრობის შესახებ, რაც ვლინდება წინასწარი გამოძიების დროს მათზე ზეწოლაში, ყოვლად შეუწყნარებელ წამებაში. პატიმრობის ეს ხანგრძლივი პერიოდი და შემდგომი სასამართლო პროცესი არასგზით არ შეიძლება დახასიათდეს როგორც დროული, თავისუფალი და სამართლიანი, რასაც მოითხოვს ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონვენცია. ადვოკატებისა და პატიმრების ოჯახების წევრთა მიმართ იყენებენ დაშინების მეთოდებს, სასტიკ უხეშობას და მათი უფლებების სხვადასხვაგვარ შელახვას. ამ პროცესის მიმართ გაჩაღებული იყო დეზინფორმაციული კამპანია საზოგადოებრივი აზრის დასამუშავებლად.

ამდენად, გთხოვთ, პირადად ჩაერიოთ ამ საქმეში და უწინარეს ყოვლისა მოვითხოვთ ყველა ამ პიროვნების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, ანდა ისეთი სასამართლო პროცესის დანიშვნას, რომელიც შეესატყვისება სასამართლო პროცედურის სათანადო სტანდარტებს. ამასთან, უსაფრთხოების გარანტია უნდა ჰქონდეს ყველას, ვინც მათ დაცვას განახორციელებს. ვინაიდან ეს საქმე არ ითმენს დაყოვნებას, ამ წერილის ასლებს,როგორც ქვემოთაა აღნიშნული, ვუგზავნით რამდენიმე ადრესატს. თუ აუცილებელი იქნება, ჩვენ მზად ვართ მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია.

*გულწრფელად თქვენი*
*რობერტ ჩემბერსი*
*გენერალური მდივანი*
*საერთაშორისო სამდივნო*

ასლები დაეგზავნათ:

ევროპარლამენტის ადამიანის უფლებების ჯგუფს, მისის მარლენ ლენცს - ევროპარლამენტის წევრს, ადამიანის უფლებების ქვეკომისიის თავმჯდომარეს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, გერმანიის პარლამენტის ადამიანის უფლებების ქვეკომისიას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების კომისიას, ადამიანის უფლებების ჯგუფს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს. ..

---

# სიტყვა მძლევართ განსასჯელებს

9 თებერვალი

ადვოკატების გამოსვლების შემდეგ ყველა მოელოდა, რომ პროკურორი ქ.კობერიძე ისარგებლებდა რეპლიკის უფლებით, რათა გაებათილებინა ადვოკატების მტკიცებულებები - ბრალმდებელი დამცველთა გამოსვლების დროს ინიშნავდა მათ კითხვებს და გამუდმებით წერდა. მაგრამ, ყველას გასაოცრად, იგი აღარ გამოსულა. როგორც ჩანს, მის ჩანაწერებსა და პასუხებს ადვოკატთა მიერ დასმულ შეკითხვებზე უშუალოდ მოსამართლე გაითვალისწინებს თავის განაჩენში.

* * *

მაგრამ, სანამ მოსამართლე განაჩენს გამოიტანდეს, განსასჯელებს - ცხადია მათ, ვინც შემორჩა სასამართლო დარბაზში, ანუ ჩვიდმეტიდან ხუთს - უფლება ეძლევათ წარმოთქვან თავიანთი ბოლო სიტყვა, გაძევებულებს კი ეს შესაძლებლობაც წართმეული აქვთ.

განსასჯელებმა ბოჭორაძემ, ლაშქარაშვილმა, ჩარიგოგდიშვილმა აღნიშნეს, რომ სათქმელი არაფერი აქვთ და მოითხოვეს მათი გამართლება.

განსასჯელმა დანელიამ მოკლედ განაცხადა: “ერთ რამეს ვიტყვი - 24 ივნისს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტება დამაწერინეს, რომ არ გავიდოდი ქალაქიდან. თვე და ორი დღე გავიდა მას შემდეგ. ჩემს დაპატიმრებამდე მე არ გავსულვარ ქალაქიდან. რაიმე დაფარული რომ მქონოდა, დანაშაული რომ მქონოდა ჩადენილი, ჩემი სახლის უკან გადის ცენტრალური რკინიგზის მაგისტრალი - ისე გავიდოდი ქალაქიდან, ვერავინ მიპოვნიდა. ვითხოვ ყველა განსასჯელის გამართლებას და მოვითხოვ, რომ ყველა განსასჯელმა, ვგულისხმობ გაძევებულებსაც, თავიანთი ბოლო სიტყვა თქვან.“

* * *

განსასჯელმა კალმახელიძემ მოითხოვა დრო თავისი ბოლო სიტყვის მოსამზადებლად, მაგრამ მოსამართლე დოლიძემ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა და რამდენჯერმე გააფრთხილა განსასჯელი: “აღარ მოვისმენთ ისეთ საკითხებს, რომელიც საქმეს არ ეხება“. კალმახელიძე ამაოდ ცდილობდა თავისი საქციელის მოტივირებას: “გახსოვთ, გთხოვდით - მოგეყვანათ კიტოვანი, დაგეკითხათ; ვამბობდი, რომ მან დაანგრია თბილისი, ახლა კი, დადგა დრო და ამას მთელი პარლამენტი ლაპარაკობს“. მოსამართლე პერიოდულად აწყვეტინებდა განსასჯელს სიტყვას რეპლიკით: “გვითხარით, რას სთხოვთ სასამართლოს?“

როცა დავამთავრებ, მაშინ მიხვდებით, - განაგრძო კალმახელიძემ. - მე მაქვს უფლება, რამდენიც დამჭირდება, იმდენი ვილაპარაკო. გამოგრჩათ, ალბათ, ჯაბა იოსელიანის ჩვენების გამოქვეყნება, ხომ იცით, როგორ ლაპარაკობს, მაინც “ქურდულს აწვება“ - გავიგე აფეთქებაო... მასზე ბალუაშვილი წერს: “სამართალში არ ყოფილაო“ . განა ჯაბა იოსელიანზე შეიძლება ითქვას, “სამართალში არ ყოფილაო“?!

განსასჯელის ამ განცხადებას მოჰყვა მოსამართლის რეპლიკა - “საქმეზე ილაპარაკეთ, თორემ გაგაჩერებთ“, მაგრამ კალმახელიძემ განაგრძო:

“თქვენ ბრალად მიყენებთ, რომ ზუგდიდიდან ჩამოვიტანე ფული - ვინ დათვალა ის ფული? მე არ დამითვლია, რამდენი იყო. ავტომატები ჩამოიტანაო - სადაა, მაჩვენეთ! შევარდნაძის მოკვლა უნდოდაო - სად არის შევარდნაძე მკვდარი, მაჩვენეთ! მე ვამტკიცებ, რომ ტანკი მყავს - დამიმტკიცეთ! შეიძლება ბრალდების ასე დამტკიცება?! უკეთესია, ის ვაჟკაცი ბიჭები გამოიყვანოთ აქ და ბოლო სიტყვა ათქმევინოთ. დაბოლოს, აი, ტელევიზიით ამბობენ - დასახვრეტები დახვრიტეთო, ტერორისტები დასაჯეთო - გთხოვთ, ნუ მოექცევით დიქტატურის ქვეშ, გახსოვდეთ “თვითმფრინავის ბიჭები“! - გაითვალისწინეთ...“

* * *

შემდეგ თავისი ბოლო სიტყვა წარმოთქვა განსასჯელმა ხახვიაშვილმა - “უმძიმეს სასჯელს ველოდები თქვენგან, წინ გიდევთ არასერიოზული საქმე“.

განსასჯელმა მჭედლიშვილმა თავისი ბოლო სიტყვისთვის ასევე მოითხოვა დრო, მაგრამ ამას მოსამართლის მწვავე რეაქცია მოჰყვა.

მჭედლიშვილმა თავისი სიტყვა დაიწყო იმით, რომ 16 იანვარს ტელეარხით “კავკასია“ გამოვიდა პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვ. რჩეულიშვილი და განაცხადა, რომ ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს პოლიტიკური პროცესი - “ე. ი. დღევანდელი ხელისუფლების მესვეურები თვითონ აღიარებენ, რომ ჩვენი პროცესი - პოლიტიკური პროცესია, ჩვენ კრიმინალი არ ჩაგვიდენია“.

მჭედლიშვილმა მიმართა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეს, დოლიძეს: “თქვენ მიმტკიცებთ, რომ მე მიმიძღვის ბრალი პატარა ოთარ ერაძის სიკვდილში. მაშინ ასე ზოგადად ყველას გვედება ბრალი მის სიკვდილში: 1991-92 წ.წ. მოვლენებში თქვენ არ მიგიძღვით ბრალი, გაჩერებული რომ იყავით მაშინ? რატომ არ აღიმაღლეთ ხმა? უბრალოდ, ჩვენ ვიღაცას არ მოვწონდით და იმიტომ ვზივართ აქ!“

ერთ-ერთ კონკრეტულ ბრალდებასთან დაკავშირებით მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ქარხანა “აგრეგატის“ დაყაჩაღების საქმე საერთოდ არ არის გამოძიებული: “ჩემი ალიბი არ შეგიმოწმებიათ. თქვენ არ შეგიმოწმებიათ, მქონდა თუ არა იმ დროს ტაბელური იარაღი; არის თუ არა სადმე დაფიქსირებული ჩემი ხელმოწერა, რომ მე აღებული მქონდა ტაბელური იარაღი? არაფერ ამით თქვენ არ დაინტერესებულხართ... თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, გაქვთ “ჟიგული“ - როგორ წარმოგიდგენიათ, ჩაეტეოდა შიგ 39 ყუთი სუნამო და კიდევ 3 კაცი? იცით, რა სიგრძესიგანისაა ეს 39 ყუთი - ეს მაინც შეამოწმეთ?!“

მოსამართლე სისტემატურად აწყვეტინებდა მჭედლიშვილს სიტყვას: “ჩვენებას ვერ მოვისმენთ“, ხოლო განსასჯელი პასუხობდა - “თქვენ ჩემს მიერ ჩვენების მიცემისას აქ, ამ დარბაზში მეუბნებოდით, შეფასებას ნუ აძლევთ თქვენს ჩვენებებს - ამის შესაძლებლობა მოგეცემათო. როდისღა მექნება ამის საშუალება?!“

მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ის მანიფესტირებულია: “საქმეში დევს დოკუმენტი, რომლის თანახმად, 24 ივნისის თავდასხმის ეპიზოდში ჩემს მიმართ საქმე შეწყვეტილია - ე. ი. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა მაპატიეს, სამშობლოს ღალატი მაპატიეს, სამხედრო პოლკის განიარაღება, იქიდან ტანკების წამოყვანა მაპატიეს, ტელევიზიის აღება მაპატიეს, დანგრევა, გაძარცვა მაპატიეს, და სუნამოებისა და ერთი ავტომატის წამოყოლება არ მაპატიეს?! გახსოვთ, ალბათ, 22 იანვარს შევარდნაძის გამოსვლა - არ მოხდა შერიგება, ტყუილად გამოვუშვი მანიფესტიო. როგორ შევურიგდები!

...მე სიგუას დაცვაში ვმუშაობდი.საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ უნდა მოგვეშორებინა თანამდებობის პირები - კიტოვანი, იოსელიანი, სიგუა. რაღა იოსელიანით დავიწყებდი - ჯერ სიგუას მოვიშორებდი თავისუფლად და ძალიან უბრალოდ...

კიდევ ერთი მინდა ვთქვა: მე კანონი მავალებდა ზვიად გამსახურდიას დაცვას - ეს იყო ჩემი პირდაპირი ვალი. მე ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ.“

შემდეგ მჭედლიშვილი შეეხო ი. დოკვაძისა და პ.გელბახიანის ბრალდების არგუმენტებს და მ. დოლიძემ იგი სასწრაფოდ გააჩერა: “ილაპარაკეთ მხოლოდ თქვენს შესახებ“, რასაც მოჰყვა მჭედლიშვილის პასუხი: “კი მაგრამ, საქმის მიხედვით, მე რომ არ ვყოფილიყავი და არ ჩამომეტანა იარაღი, დოკვაძე-გელბახიანიც ხომ ვერ მოახდენდნენ აფეთქებას?!“

მჭედლიშვილის დასკვნა ასეთი იყო: “ამ საქმეში მოყვანილი ვერსიები - ფანტაზიაა. ადამიანი ვერ გააკეთებდა იმას, რაც ამ საბრალდებო დასკვნაში წერია“. დოლიძის კითხვას, “მოკლედ, რას სთხოვთ სასამართლოს“, მოჰყვა განსასჯელ ხახვიაშვილის რეაქცია - “გაიგე რა, გელა, დღეს უნდა დამთავრდეს ყველაფერი, შეიგნე რა...“

დასასრულს მჭედლიშვილმა თქვა: “მე მოვითხოვ ჩემს განთავისუფლებას, მოვითხოვ ამ საქმეს დაერქვას თავისი სახელი და განაჩენში იყოს აღბეჭდილი, რა საქმე იხილება.“

* * *

განსასჯელთა საბოლოო გამოსვლების შემდეგ მოსამართლე მირზა დოლიძემ სასწრაფოდ გამოაცხადა, რომ კანონის თანახმად, სასამართლო კოლეგია გადის სათათბიროდ 6 მარტამდე.

ასე რომ, 6 მარტს სასამართლო განაჩენს გამოიტანს

*რეპორტაჟი სასამართლო დარბაზიდან მოამზადა*
*ნინო ჩეჩელაშვილმა .*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# IGFM - ISHR

## ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოება

**საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ დოქტ. კლაუს კინკელს**

**საგარეო საქმეთა სამინისტროს 53111 ბონი**

**მაინის ფრანკფურტი 2 თებერვალი 1995**

ეხება პოლიტიკურ პატიმრებს საქართველოში
პროკურორი მოითხოვს სიკვდილით დასჯას

დიდად პატივცემულო ბ-ნო დოქტ. კინკელ,

1995 წლის 31 იანვარს პროკურორმა კახა კობერიძემ ქვემოხსენებული პოლიტიკური პატიმრების პროცესზე მოითხოვა:
ირაკლი დოკვაძე - სიკვდილით დასჯა
დოქტ. პეტრე გელბახიანი - სიკვდილით დასჯა
[illegible] - 15 წლით პატიმრობა მკაცრი რეჟიმის პირობებში
პროფ. დოქტ. გედევან გელბახიანი - 15 წლით პატიმრობა მკაცრი რეჟიმის პირობებში
[illegible] - 10 წლით პატიმრობა მკაცრი რეჟიმის პირობებში

[illegible]

IGFM [illegible]

დიდად პატივცემულო ბ-ნო კინკელ, [illegible]

[illegible] პატივისცემით,
კარლ ჰაფენი
თავმჯდომარე

**კონსტანტინე გაბაშვილს**
**საქართველოს რესპუბლიკის საელჩო**

**კურპარკ 6**
**53177 ბონი**

**მაინის ფრანკფურტი 7. 2. 1995**

დიდად პატივცემულო ბატონო ელჩო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოში დასასრულს უახლოვდება 19 პოლიტიკური პატიმრის სასამართლო პროცესი. IGFM-ის გენერალურმა მდივანმა ბ-ნმა რობერტ ჩემბერსმა, - იცის რა იმ პირობების შესახებ, რომელშიც პატიმრობისა და დაკითხვის დროს ჩააყენეს ეს პატიმრები, და იმის გამო, რომ პროკურორმა კობერიძემ მოითხოვა დრაკონული სასჯელი, ხოლო ორის მიმართ თვით სიკვდილით დასჯაც კი, - სახელმწიფოს მეთაურს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს 3. 2. 1995 წ. გაუგზავნა პროტესტის წერილი, რომელიც ფაქსის სატელიტური კავშირით გაიგზავნა საქართველოში. როგორც ახლა შევიტყვეთ, გუშინ ბ-ნ შევარდნაძეს განუცხადებია, რომ მას საპროტესტო წერილი არ მიუღია. რადგანაც გამორიცხული არ არის, რომ ჩვენს წერილს მასთან არ მიუღწევია, ამ წერილს, წინამდებარე წერილთან ერთად, ხელახლა გიგზავნით თხოვნით მისცეთ მას შემდგომი მსვლელობა.

*გულითადი მოკითხვით,*
*ვანდა ვანზიდლერი*
*/IGFM / საგანგებო განყოფილება - საქართველო*

P. S. მსგავსი წერილები გაეგზავნათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მინდია უგრეხელიძესა და მოსამართლე მირზა დოლიძეს.

# რა უჯდება საქართველოს შევარდნაძის ვოიაჟი

ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში ფართოდ შუქდება საქართველოს საინფორმაციო საშუალებებით, თუმცა, ყურადღება, ჩვეულებისამებრ, გამახვილებულია მის პრესტიჟულ მხარეზე. როგორც გვატყობინებს ჩვენი კორესპონდენტი გერმანიიდან, ირკვევა, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოს ლიდერი "ნისლიან ალბიონს" ესტუმრა 100 კაციანი ამალით, რომლის ყოველი წევრის ყოფნა ძვირადღირებულ სასტუმროში დღე-ღამის განმავლობაში 540 მარკა ჯდება, ხოლო მთელი ეს ვოიაჟი საქართველოს 180 000 მარკა დაუჯდა. აღსანიშნავია, რომ ამ თანხაში არ შედის კვებისა და გზის ხარჯები.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ლონდონში საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს შევარდნაძეს, მის მიერ ჩეჩნეთში რუსეთის აგრესიის მიმართ გამოხატული პროიმპერიული პოზიციის გამო, ბრიტანელმა სტუდენტებმა მოუწყვეს საპროტესტო აქცია, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ ინგლისში მცხოვრები ქართველები და ჩეჩნები. ვიზიტის დასკვნით პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური სასამართლო პროცესისა და მასზე დაფიქსირებული კანონდარღვევების მიმართ.

# ტრაგედიის დაბადება

"უკუეთუ ხელთ-მიდვას მე ძლიერმან მან, ვითარცა - ესე უწყიეს, ანუ ვიტყოდი და ვამხილო წინაშე მისსა."

იობი 13,15

ტრაგედიის ზოგადსაკაცობრიო პირველმიზეზი ერთგვარად მომავლის ხის (ხე მარადიული სიცოცხლისა) ნაყოფის შეუცნობლობას უკავშირდება. უკვდავებასთან განშორების გაუცნობიერებელი ტრაგედია ადამიანის ცნობიერებაში გარკვეულ უხერხულობას ბადებს. პიროვნებას უჭირს დაიჯეროს, რომ იგი ოდესღაც სხვასავით მოკვდება. უკვდავების ქვეცნობიერ ილუზიას თავდაცვითი ფუნქცია ენიჭება მაშინ, როდესაც პიროვნება უშუალოდ დგება სიკვდილის ფაქტის წინაშე. რის გამოც ადამიანი ცდილობს გამოხატოს გარდაცვლილისადმი თანაგრძნობა, რათა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვას საკუთარი მდგომარეობის დროებით უპირატესობას და ისედაც შორეული, ტრანსცენდენტული სამყარო საკუთარი ყოფისგან ფორმალურად კიდევ ერთხელ გამიჯნოს.

ამიტომ ყალიბდება საუკუნეების მანძილზე ტრაგედიის კლასიკური სახე და იგი ყოველთვის სიკვდილის ფაქტს უკავშირდება, გარდა ერთი კონკრეტული მოვლენისა, როდესაც საქმე ეხება გოლგოთის მისტერიას. ეს როდია შემთხვევითი, რადგან ვერც ერთმა რელიგიურმა თუ ფილოსოფიურმა მოძღვრებამ ვერ შესძლო სიკვდილის იდეაზე გამარჯვება, გარდა ქრისტიანობისა. შესაბამისად, ვერც ერთმა მათგანმა ვერ სცა ნუგეში სიკვდილის შიშით სევდამორეულ კაცობრიობას. ქრისტიანობაში არ არსებობს ტრაგედია, თუმცა იგი მის არსებობას არ გამორიცხავს. ტრაგედია ადამიანური ყოფის თანამდევი ფენომენია და ღვთაებრივ გზაზე ისეთ ტრანსფორმაციას განიცდის, რომ ერთგვარ დღესასწაულადაც კი იქცევა ხოლმე. ღვთაებრივი იდეალებისთვის შეწირული ადამიანები დროის გადასახედიდან არ აღიქმებიან ტრაგიკულ გმირებად. არავის არასოდეს უთქვამს, რომ ქეთევან დედოფალი ან დემეტრე თავდადებული ტრაგიკული პიროვნებები არიან. ჭეშმარიტ ქრისტიანულ სამყაროს არა ჰყავს ტრაგიკული გმირები, რადგან ისინი ღვთაებრივი იდეალებისთვის იბრძვიან. ტრაგედია იბადება იქ, სადაც არსებობს ცალკე ადამიანის პრობლემა, ღმერთის გარეშე.

რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? ალბათ იმას, რომ სარწმუნოებისთვის, სამშობლოსთვის, თავისუფლებისთვის მებრძოლი ადამიანების თავგანწირვა ისტორიაში ტრაგედიად როდი რჩება, დროის გადასახედიდან იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. 9 აპრილის მოვლენები, მიუხედავად იმისა, რომ მას ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყვა, ცალსახად ტრაგედიად მხოლოდ მისმა შემოქმედებმა შეაფასეს. ხოლო ეროვნულმა მთავრობამ და მთელმა ქართველმა ერმა ეს დღე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ აქცია. როგორც ხედავთ, ისტორიაში ერთი კონკრეტული მოვლენის გარშემო ორი თვალსაზრისი გაჩნდა და ეს სწორიცაა, რადგან 9 აპრილის ტრაგედია ის კი არ არის, რომ იქ თავისი ქვეყნის თავისუფლებისთვის ქართველები დაიხოცნენ, არამედ ის, რომ ადამიანები, რომელთა თვალწინ რუსეთის საოკუპაციო ჯარმა იმპერიის მმართველთა დაკვეთით გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, ახლაც რუსეთის იმპერიის სამსახურში დგანან. რასაკვირველია, ეს ნამდვილად ტრაგედიაა.

ტრაგედიის არსებობის აუცილებლობა და მისი მნიშვნელობა ფართო საუბრის თემაა და იგი ერთ ან ორ საგაზეთო სტატიაში, ალბათ, ვერ გადმოიცემა. ტრაგედია იბადება, რათა ამაოებაში ჩაფლულ ადამიანებს შეახსენოს, რომ სოციალური კომფორტის, საკუთარი კეთილდღეობის გარდა, არსებობს სხვა ღირებულებებიც, უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასი, დღეს ამგვარი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა ქართველი ერი. საყოველთაო უბედურების ფონზე გამოიკვეთა კონკრეტული ტრაგედია - დანაშაულებრივმა სამყარომ ორი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილით დასჯა მოითხოვა.

თუ ამ მოვლენას უფრო გლობალურად შევხედავთ, ვნახავთ, რომ ეს არ არის მხოლოდ პროკურორის უბრალო მოთხოვნა - დაიხვრიტოს ორი მსჯავრდებული - გელბახიანი და დოკვაძე, ეს უფრო ფართე და საზარელი მოთხოვნაა, ეს რუსთაველის გამზირზე დაწყებული ომის გაგრძელებაა.

მსჯავრდებულებს ბრალი ედებათ კონკრეტულ დანაშაულში, ანუ ტერორისტული აქტის მოწყობაში. განსასჯელები დანაშაულს არ აღიარებენ, მართლმსაჯულება კი ცდილობს ყველა მეთოდის გამოყენებით მიაღწიოს მიზანს, რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? იმას, რომ გელბახიანსა და დოკვაძეს განაჩენი კარგა ხანია გამოუტანეს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ისინი კანონიერების დასაცავად ბრძოლაში ჩაებნენ. აქედან გამომდინარე, პროკურორის მოთხოვნა მხოლოდ და მხოლოდ სხვათა სურვილების დეკლარირებაა და მეტი არაფერი.

ვინ არიან ეს სხვები. ალბათ, ამას განსაკუთრებული კომენტარი არ სჭირდება, ერთს კი დავძენთ, რომ ეს არ არის კონკრეტული პიროვნება ან პიროვნებები. ეს გახლავთ ის ნეგატიური, დამანგრეველი ძალა, რომელიც, აი, უკვე სამი წელია საქართველოს თავს დასტრიალებს და ცდილობს მისი ფენომენის მოსპობას. სწორედ ამ ძალას, თავისი ეპიცენტრითა და ყველა ჰიპოსტასით, გამოაქვს განაჩენი ყველასა და ყველაფრისთვის. სწორედ ეს ძალა ანგრევს ქალაქებსა და თესავს სიკვდილს კავკასიაში, რათა დაიბადოს ტრაგედია უმძაფრესი და მოუნელებელი, ადამიანები სასოწარკვეთაში ჩაცვივდნენ და ღმერთი მიივიწყონ, ხოლო ვინც მათ სამსახურში არ ჩადგება, ფიზიკურად მოსპონ ან სულიერად დაასახიჩრონ.

მაგრამ უფალი არ ივიწყებს მართალ ადამიანებს და ამ საზარელი ტრაგედიის პარალელურად იბადება სრულიად სხვა ფენომენი, რომლის გარშემოც მთელი ეროვნული ენერგია იყრის თავს, რათა იხსნას იგი განადგურებისგან. და ასეთი ფენომენი გახლავთ დღეს ორი სასიკვდილოდ განწირული უდანაშაულო ადამიანი.

ჩვენ ყველანი სიკვდილმისჯილნი ვართ. ეს სასჯელი ჩვენი ცოდვების საფასურად გვერგო. თუმცა, ჩვენი სასიკვდილო განაჩენისთვის არავის არასოდეს განუცხადებია პროტესტი, რადგან ასე მოგვეცა ღვთისგან. ადამიანები საკუთარი მოკვდავობის ალიბით არასოდეს ქცეულან ფენომენებად, რადგან ჩვეულებრივი სიკვდილი სიცოცხლის დასასრულია და სხვა არაფერი. მხოლოდ ტანჯვის გზაზე მისტერიალური სიკვდილი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მხოლოდ მას ძალუძს უზარმაზარი ენერგიის კონცენტრირება და შემდეგ მისი ამოქმედება. და აქ ხდება სასწაული. დღეს ბოროტების სამსჯავროზე სიკვდილმისჯილი თავისუფლებისთვის მებრძოლი ორი ქართველი ვაჟკაცის გადარჩენის იდეა იმ ფენომენად გადაიქცა, რომლის განხორციელებისთვის მართლაც რომ ღირს ერის თავგანწირვა. და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ამ ფენომენს გაუცნობიერებლად ქმნის ის, ვისაც მისი მოსპობა განუზრახავს.

ბოროტებას ერთი საოცარი ნიშანი ახლავს თან. იგი ბუმერანგის პრინციპით მოქმედებს, რადგან მას სიკეთისგან განსხვავებით არ ძალუძს მარადისობაში გასვლა. საქართველოს დღევანდელი ხელისუფალნი ამ პრინციპის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. მათ განიზრახეს ეროვნული იდეის მოსპობა, რის შედეგადაც ინტერნაციონალური რესპუბლიკა კლასიკურ ნაციონალისტურ სახელმწიფოდ აქციეს; მოინდომეს პრეზიდენტის მოკვლა და ამით უკვდავყვეს იგი, შეუდგნენ ზვიადიზმის აღმოფხვრას და მთელი საქართველო ზვიადისტებად აქციეს (თუ მოარულ ანეკდოტს გავიხსენებთ, სახელმწიფოს მეთაურის ჩათვლით). ახლა ისინი ლამობენ რეპრესიების ტრადიციის აღდგენას კლასიკური მეთოების გამოყენებით, მაგრამ ხდება სასწაული და ჩვენ თვალწინ ჰეროიზმი იბადება.

საგანგებოდ შექმნილი ექსპოზიციის ფონზე ხელისუფალნი ცდილობენ მათთვის სასურველი მიზნის მიღწევას. მაგრამ, საბედნიეროდ, აქ იქმნება ერთგვარი უხერხულობა, რაც გამოწვეულია საშემსრულებლო აპარატის იაფფასიანი ხარისხით და საბოლოოდ იწვევს სიტუაციის მთელი ტრაგიზმის გაშარჟებას. აქ აღარ იბადება ტრაგედია, აქ ტრაგედია კვდება.

სიკვდილმისჯილთა ტრაგედია ჯალათთა ტრაგიზმის ფონზე ფერმკრთალდება. ცხადად იკვეთება - ვის უნდა თანაუგრძნო - არა სიკვდილის მოლოდინში ქანცგაწყვეტილ გმირებს, არამედ, სიცოცხლის ყველაზე იაფფასიან ღირებულებებს მიჯაჭვულ ადამიანებს, რომლებსაც კარგად ესმით, რომ ცარიელი სკამების მიღმა მათ აღარავინ იგულისხმებს. ამიტომაც ცდილობენ ყველა ხერხითა და მეთოდით საკუთარ სავარძლებში მყარად მოკალათდნენ.

ასე იბადება ახალი დანაშაული - ანუ ახალი ტრაგედია - ნაყოფი დანერგილი ბოროტებისა და, სამწუხაროდ, ხშირად გაუცნობიერებელი მათთვის, ვისაც იგი ეკუთვნის.

იუდას ტრაგედია დიდია, მაგრამ კიდევ უფრო საზარელია პილატეს ტრაგედია.

**P.S.** *19... ქალაქ მაკონდოში დახვრიტეს მეუსაჯეს პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას. მან შემდეგ მაკონდოში 9 წელი წვიმდა.*

**ქეთევან ქურდოვანიძე**

*შენიშვნები:*

1. "ტრაგედიის დაბადება" - ფრიდრიხ ნიცშე
2. აურელიანო ბუენდია - მარკესის ცნობილი რომანის "მარტოობის ასი წელი" პერსონაჟი

# ადვოკატები წამებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ

# LATOA (Inc)

**ოკლენდი, ახალი ზელანდია**
**ჰ.ა. ვილიამსი**
**პრეზიდენტი**

**კ. ლოიდ ემორი**
**აღმასრულებელი დირექტორი**

**1995 წ. 5 თებერვალი**

**საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს**

ბ-ნო შევარდნაძე,

მოგმართავთ პეტრე გელბახიანის (დაბად. 1962 წ.), ირაკლი დოკვაძის (დაბ. 1961) და გედევან გელბახიანის (დაბ. 1937 წ.) საქმესთან დაკავშირებით. ჩვენ გახლავართ ადვოკატთა ჰუმანიტარული ჯგუფის წარმომადგენლები ახალი ზელანდიიდან და ფართო კონტაქტები გვაქვს მთელი მსოფლიოს ადვოკატებთან. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ზემოხსენებული პატიმრების მიმართ, რომელთაც სიკვდილით დასჯა ემუქრებათ, მალე იქნება მიღებული გადაწყვეტილება, [illegible] საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას, დასავლეთის წრეებში ლიბერალური სახელმწიფო მოღვაწის რეპუტაციით სარგებლობდით; ხოლო თქვენს მიერ სიკვდილით დასჯის პროპაგანდა სასამართლო განაჩენის გამოტანამდე, უკიდურესად არალიბერალური, შეუწყნარებელი საქციელია. ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ სასამართლოს საბოლოო სხდომები ამ საქმესთან დაკავშირებით დაიწყება ორშაბათს, 7 თებერვალს. ამიტომ სასწრაფოდ მოგმართავთ თხოვნით შეიწყალოთ ეს პატიმრები, თუ მათ მიმართ სიკვდილის განაჩენი იქნა გამოტანილი. ამ შემთხვევაში მოგმართავთ თქვენ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს - გამოიჩინეთ ჭეშმარიტი ჰუმანურობა ამ ადამიანთა მიმართ. ერთი მათგანი ელექტროინჟინერია, ხოლო ორი დანარჩენი - ექიმი, რომლებიც პატიმრობამდე პირნათლად ემსახურებოდნენ საზოგადოებას. სამივენი ადასტურებენ პროცესუალური ნორმების სერიოზულ დარღვევებს მათი დაკავების მომენტიდან სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ჩათვლით, აღნიშნავენ მათ მიმართ წამების ყველაზე სასტიკი მეთოდების გამოყენებას. წამების ერთ-ერთი ფორმაა აგრეთვე, მათი ციხეში ყოფნა სიკვდილის განაჩენის მოლოდინში. თუ სასამართლო ასეთ განაჩენს გამოიტანს, ჰუმანურობის სახელით გთხოვთ, განაჩენის აღსრულების სასწრაფო გადავადებას. გთხოვთ, რაც შეიძლება სასწრაფოდ დაადასტუროთ ჩვენი წერილის მიღება და გვიპასუხოთ. ამ კამპანიას შემოუერთდება ჩვენი საზოგადოების უამრავი წევრი მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან და იმედია, თქვენ შეისმენთ მათ ხმას. რადაც უნდა დაგვიჯდეს, სამართალმა უნდა გაიმარჯვოს! თუ ერთი მათგანი მაინც დაიხვრიტება, იცოდეთ, რომ ეს სახელმწიფოს მიერ ჩადენილი მკვლელობა იქნება, ხოლო პირადად თქვენ ვერ მოიხსნით პასუხისმგებლობას და მათი სიცოცხლის ხელყოფა თქვენს სინდისზეც იქნება.

პატივისცემით,

**კოლინ ლ. ემორი**
**აღმასრულებელი დირექტორი**

**Всего хорошего**

# TAVISUPALI SAKARTVELO N4 (64) IN BRIEF

The article "Terror in Georgia" which was published in #3(63) issue of our newspaper caused strong resentment of Georgian State Committee for Human Rights. Below is presented English translation of this article with some comments.

## Terror in Georgia

*Since Communist-criminal coup of 1991-1992 up to now series of terrorist actions are in progress in Georgia their main victims being outstanding representatives of the present day regime as well as people closely connected to it (T. Kuvashvili, Kurdadze, G. Gulua, T. Mbheidze, G. Svanadze, Z. Vepbhvadze, N. Kebelidze, P. Chlaidze, A. Mibeladze, G. Chanturia, P. Datuashvili and many others).*

*In accordance with the general world practice, in similar cases some person or group usually tabes the responsibility for the results of the terrorist action. In our country the situation is somewhat different. On the one hand, nobody assumes any responsibility for anything, however, on the other hand, numerous eloquent facts speab for themselves. Thus, after assassination of Z.Vepbhvadze and G.Svanadze Georgian television informed the society that apart from the above mentioned victims absolutely innocent person was accidentally murdered during this terrorist action. By this statement Georgian television actually questioned innocence of Vepbhavadze and Svanadze; most recent fact: immediately after assassination of G. Chanturia the Head of the State gave the ranb of General-Lieutenant to the Chief of State Security Department Igor Giorgadze, a state officer whose direct duty is to put end to terrorist actions. In the light of the above said he had more deserved reprimand than reward".*

*It should be also stressed that in these specific cases the suffered party unambiguously blames the high ranb representatives of the authorities and Government. However not a single person suffered from loosing favors or respect not to mention juridical responsibility*

*Hence, we are dealing with a well organized state terror which remains faithful to the motto of its Bolshevib ideology: "Deal with your own people to terrify the others".*

*On our part we would libe to comment that violence can give birth only to violence. All above listed victims are guilty towards their nation and country but they should have been trailed in the Court and by no means blown up in their own cars or shot down libe mad dogs at the entrance of their own houses.*

The Chairman of Human Rights and International Relations Committee A. Kavsadze made a statement concerning this article which says that Human Rights and International Relations Committee protects and encourages freedom of press, this greatest achievement of Georgian people, but he considers such a disrespectful mentioning of late G. Chanturia whose death was most painful impact to Georgia as an insult of Georgian people and demands that the author and the newspaper which published such material were called to responsibility before our people.

Finally the Chairman of the Committee Mr. Sandro Kavsadze demands from the respective state structures to show their interest in this fact and adequately estimate it. The Committee on its part will officially set the affair going.

## What does Mr. A. Kavsadze Have Against "TavisupAli Sakartvelo"?

As we have learned from mass media, activities of our newspaper exited official circles and in particular the famous leader of the State Committee for Human Rights Mr. A. Kavsadze.

We certainly have never fooled ourselves with the illusions that those who presently are at the helm of the power experience special pleasure from the fact of existence of our newspaper. Neither did we ever give them hope that with us they would have never had any problems. In short, we expected the attack on our many times raided and banned newspaper. What we did not expected is that it would be done under such insignificant pretense as absolutely harmless article "Terror in Georgia' published in #3 issue of "Tavisupali Sakartvelo" where the author dwells on the vicious practice of physical extermination of political rivals which in recent years literally became a routine procedure.

Whatever our and our readers' attitude to the victims of these terrorist actions is, we strongly adhere to the opinion that slaughtering people in the streets is absolutely unacceptable. We declared it in past when some of now already "exploded" victims called to or personally shot down peaceful citizens who came into the streets to defend the lawfulness, we are again declaring it now when the achievements of the "democratic revolution" demand immolation of the very architects of this "revolution".

A.Kavsadze is exited that we qualified these honorable public men and viz. G. Chanturia as being guilty before their nation and country.

Surprisingly these horrible murders that deny one of the basic human rights - the right for life - have never aroused similarly strong reaction in the above Committee. Nor the fact that for three years organizers and executors of these terrorist actions were not found; and not a single charge brought against these facts has ever been investigated which is also a rough violation of international norms, did ever disturb spiritual calmness of the Committee. Instead of appealing to Prosecutor with demand to speed up investigation, and punish the murderers, A. Kavsadze begins his company against our newspaper basing on the article which condemns the practice of bloody squaring of accounts.

The above issue of our newspaper which was nearly completely devoted to the much talked-of trial #7493810 and revealed rough violations of the Law clearly demonstrated the facts of falsifications. We believe that the true reason of A. Kavsadze's indignation are the publications reflecting the ongoing trial at the Supreme Court and international reaction to it rather then the above mentioned article, and the source of indignation should be looked for among those who hierarchically are much higher than the so-called A. Kavsadze's Committee.

As for the main problem (which though not mentioned in the above publication, apparently for some reasons disturbs Mr. Kavsadze) whether Giorgi Chanturia and other victims of terrorist acts are guilty before the nation and country - we shall unambiguously answer "Yes, they are". They are guilty in being organizers, participants or executors of 1991-1992 coup entailed with particular severe consequences for Georgia such as loss of territorial integrity, disintegration of the State, mass impoverishment of the population, complete disorganization in all spheres of economy, embezzlement of State wealth, decline of national energy.

In accordance with Legislation of any country including that of Georgia such actions against the State are qualified as the grave crime. That neither Giorgi Chanturia nor other victims of terrorist actions were not punished is another matter. Their murder was caused by other motives of which are better aware. those who planned these crimes and received awards for them.

Editorial Board of the Newspaper "Tavisupali Sakartvelo"

## Trial Continues ....

### Lawyer Against the Prosecutor

The indictment made by the Prosecutor Kakha Koberidze on January 30-31, 1995 exited the society both in Georgia and abroad. Everybody was looking forward to hear the speech for defense of lawyer Giorgi Mosesjan in answer to State Prosecutor's indictment.

The lawyer of the defendant Irakli Dokvadze, Mr. Mosesjan after the short introduction stated: "It is my deep belief that no verdict of Guilty can be made in this case since it is a classic example of how the Case should not be investigated and heard at the Court. I believe that Mr. Chairman and the Prosecutor did not provide unbiased facts. It is my own responsibility to state that Irakli Dokvadze has not committed any crime"...

Then the layer dwelled in detail on the rough violations made in the course of the investigation and trial process.

Investigation, on the one hand. artificially creates the proofs and on the other - completely ignores the fact which should be considered by all means", claims G. Mosesjan.

The defense of Jaba Ioseliani was interrogated during the preliminary investigation mainly within the period of June 13-14. Therefore these people were not interested in giving testimony in favor of Irakli Dokvadze.

The witness Javakhishvili declared that on the day preceding the explosion on June 12 at 10 a.m. he noticed white GAS-29 car without identification numbers with 5 heavy gun armed men in it. When asked to show their IC they showed invalid documents of policemen. It is quite possible that this fact had nothing to do with the explosion, but the investigation was obliged to check it, was not it?

From the Testimony of the Driver of Jaba Ioseliani

The road in Chikovani street was blocked by "Mercedes" of white color thus artificially hindering my movement. Since I did not interfere with its movement my car could readily proceed on its way. Then I was again hindered by the white car of GAS-24 type."

Witness Lobzhanidze also confirms the fact of existence of the white car driving in Chikovani St. turn. According to his testimony there were three men sitting in this car.

The same fact was confirmed by the witnesses Tskitishvili and Durglishvili. When asked whether the above car purposefully hindered the traffic in the street, the witnesses answer that it did. Surprising as it may be but the investigator again did not make any attempts to find out what car it was and who were the people in it.

Finally Mosesjan demanded to return the case for repeated investigation.

Razmadze does not consider himself a victim of the attack

After lawyer Mosesjan his defending speech made the lawyer Peikrishvili who was defending the interests of three accused Lashkarashvili, Gogichaishvili and Danelia. Of those for Zurab Gogichaishvili the Prosecutor demanded 15 year imprisonment. According to the lawyer the accusation did not take into consideration the proofs concerning the fact of delivery of large-caliber machine gun by Gogichaishvili which are provided in the Case from which it becomes clear that this armament was brought under the order of inhabitants of Atotsi village of Kareli region for self-defense from Ossetian extremists and Russian helicopters.

Speaking about the charge related to the attempt of attack on Vakhtang Razmadze the lawyer stressed that the Court was provided only with the materials obtained during preliminary investigation. Not a single witness was interrogated and no inquest was made.

Data available from. V. Razmadze's business mission certificate testify that by the time as defined by the materials of investigation when the criminals were preparing to attack Razmadze, i.e. within the period of July 3 - 9, he was not in Tbilisi. Let alone this fact, Razmadze does not consider himself a victim of the attack and hence with no object of offense there cannot be criminal action. Thus in all four episodes related to Gogichaishvili, the investigation does not have any real accusations", concluded the lawyer Peikrishvili.

Then Mr. Peikrishvili started refuting the charge brought against the defendant Mr. Ivane Lashkarashvili. He claimed that in this case the object of crime was also absent: "In the course of the preliminary investigation the plant "Agregati" is recognized to be the sufferer. However, actually the case deals with the firm "Lavri". The property manager of the "Agregati" plant was interrogated. He stated that they were not in charge of guarding of the "Lavri" warehouse and that they did not consider themselves sufferers.

Finally the lawyer declared that the accusations brought against his defendants were not confirmed either during the preliminary investigation or in the course of inquest. He demanded a verdict of Not Guilty for all the three of defendants.

### Who Has Beaten Gedevan Gelbakhiani?

The last floor at the session was given to the defendant of Gedevan Gelbakhiani, lawyer Agladze. To refute the accusations put forth by the Prosecutor he chose rather original way - he simply read some citations from the indictment where are listed nearly all participants of the so-called "Kvareli Case". None of these citations mentions Gedevan Gelbakhiani who nevertheless is charged with "accusation" of committing this very crime as a member of "Gamsakhurdia's band". Every single citation was followed by surprised question of the lawyer: "What has Gedevan Gelbakhiani in common with this? He has never been in Kvareli has he?"

Most impressive part of the lawyers speech concerned the facts of beating and torturing of G. Gelbakhiani in prison. He informed the audience that Gelbakhiani was beaten by the former deputy Chief of Police Department Boris Ivanov immediately after his arrest.

Finally Mr. Agladze demanded the verdict of Not Guilty for the defendant Gedevan Gelbakhiani for the lack of proof of accusations.

### What Fits to The Prosecutor General in "Democratic State?"

On February 8, the Court session was opened by the speech of lawyer Kutivadze. The Prosecutor recognized every word in charges against all seventeen defendants proved and without any comments or amendments demanded the strict punishment for them. Such behavior of the Prosecutor is indicative of the fact that in this trial he was acting under the orders of his direct boss rather than following his own beliefs and views with strict observance of Law and justice which definitely does not agree with the image of Prosecutor in democratic country. And it is especially true for such an educated and highly intellectual person as Mr. Koberidze".

The lawyer stressed that to his mind the investigation does not have any direct proof or testimony confirming Mchedlishvili's guilt: "His being the member of the band is not confirmed by any proofs". Kutivadze demanded the verdict of Not Guilty for Mchedlishvili.

When the lawyer considered the charge against his second defendant K. Kalmakhelidze: "He sincerely admitted that he was a supporter of the lawful authorities and the arms in bringing of which he is charged of were to be taken to Samachablo. I do not have any sound grounds to disbelieve his words."

The lawyer emphasized that the facts of torturing of defendants in the process of preliminary investigation are beyond any suspicions. "It is proved that in the course of investigations these defendants were forced to give false testimonies"

V. Kutivadze emphasized that those persons on testimony of which are based the materials of investigation, were not in fact interrogated in the course of Court examination; "The Court has not interrogated anybody the only exception being T. Kapanadze and this was all for one and a half year long Court examination of Kalmakhelidze's case...

The lawyer finished his speech with the following words: "I wonder what is contained in this case so dangerous that the husband of seriously sick spouse and father of four children should be sentenced to 12 year imprisonment?! I appeal to you to declare Kalmakhelidze Not Guilty and release him."

### It is a Political Lawsuit" - Claims the Lawyer of Petre Gelbakhiani

On February 8, the lawyer Oring Konstantinidi made a statement before his speech for defense at the Court session which concerned his meeting with Petre Gelbakhiani. He reminded the Court that he defended the accused against the will of the latter under the decision of the Court and Board of Barristers.

Then the lawyer announced: "It is more than a year that the Court is hearing Criminal Code Case of P. Gelbakhiani and others charged with the crime which sacrificed the lives of 5 people, one of them being a child, and was committed in our country in the process of struggle for the power. If investigation and State Prosecutor believe that explosion which took place on June 13, 1992 in Tbilisi, in Chikovani Street is a terrorist action and continuation of December - January 1991-1992 events, then the indictment and Prosecutor's speech should have reflected not only the results which the country is faced with in the form of destruction and economic losses, but also political result of these events.

However the Procurator's charge not only did not adequately reflect the above events, as a matter of fact they were presented in the most biased way, which in its turn caused distortion of the facts and reality.

The hearing proceeded with the similar violations: Articles 2, 11, 12, 13, 14, 18, 20, 42, 43, 44, 45, 46, 206, 211 of the Code of Practice were completely ignored.

For illustration suffice it to present one example:

Article 2 demands prompt and comprehensive disclosure of the crime, revelation of criminals, adequate use of the Law, strengthening of the lawfulness, law and order, prevention and eradication of crime, protection of the citizens' rights and freedoms. How can one think of prompt and comprehensive disclosure of the case when here in the Court Hall part of the witnesses claims that there were two explosions: one louder than other and in addition there was a burst of gun fire - and not a single soul is interested in it. Could it be ever so that these witnesses said it only in the Court Hall and never mentioned this fact in the course of investigation? Suppose, these people were mistaken and in reality there was neither shooting nor other things, well let us listen then to the testimonies of Jaba Ioseliani's guard and other people: they are telling about the car with three men in it one of them lying on the seat. This car passed by the Sports Palace with unceasing firing - and yet nobody shows any interest in it.

Another member of the guard says that the day before he encountered the car with several armed men in it. When asked "Who are you?", they answered "We belong to National-Democratic Party and are the members of Chanturia's guard". At this one of the guards of Ioseliani remarks that he knows whole guard of Chanturia, and those people do not belong to it. After this the head of Ioseliani's guard returns to the strangers and asks them to show their documents. This time he is told that they are from the Police Department. That car disappeared as well as the people who pretended to be the guard of National-Democratic Party. Terrible tragedy happened, innocent people were killed, the whole district of the city was ruined, and this testimony mysteriously disappears from the materials of investigation - only explanatory note concerning this episode was left in the case.

The lawyer in his detailed speech scrupulously analyzed all violations which took place in the course of the trial and basing on a strict argumentation stated that the Case and Indictment are not strengthened with convincing proofs and evidences and then demanded verdict of Not Guilty for Petre Gelbakhiani.

Then the lawyer V. Zirakishvili took floor at the Court Session of February 9, the defendant S. Khakhviashvili showed his protest and stated: "This is not my defender - he used to repeat to me that he would see to get me rotten in the prison. How can such a man be my defender?" However the judge turned a deaf year to this statement. The lawyer actually whispered his speech for defense and finally stated: "Irrespective of every thing, I ask you to pronounce the verdict of Not Guilty to S. Khakhviashvili.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia